

645  
1995



პატარა გოგონას  
უცნაური ხედვა-  
წარმოსახვანი  
წერილში „მე მწვანე  
შუქით მოვედი“

გვ. 2-4

ექიმთან ვიზიტი გაძვირდა,  
ისარგებლეთ ჩვენი რუბრიკით-  
„პედიატრის მისაღები“

გვ. 6

ჩვენს ჟურნალში  
პირველად: „დედობა  
ბებიობის ასაკში“ —  
ჯანმრთელ ქალს  
ნო წლამდე შეუძლია  
ბავშვის გაჩენა, ამტკიცებს  
იტალიელი პროფესორი

გვ. 8-9

იდეალური მეუღლენი

გვ. 10-11

იყავით მომხიზვლები  
გაჭირვების ჯინჯვ —

ადვილად შესასრულებელი  
რჩევები სიღამაზის  
შესანარჩუნებლად

გვ. 12

ქურნალის  
კონკურსში  
გამბარჯვებული  
მოთხრობა  
„დედობილი“

გვ. 14-15

„შოკ-სარბილი.“  
გაჭირვება და  
ღირსება

გვ. 19

ხელსაქმა,  
კალინარიკა,  
რჩევები.

1995



საქართველოს

მარი

# პრობლემები როგორ არა მაქვს,



**საქართველოს სასაზღვრო  
შეჩაღი ქალშენისა და  
ოჯახისათვის**

**მთავარი ჩამატებითი  
ნაწილია შვედეთი**

**საჩუქარი ქოლშენისა:**

- **ნაწილი საბავშვო**
- **ნაწილი მამაკაცის**
- **ნაწილი ქალისათვის**  
(სახსრსეხელი წიგნი)
- **საწილი ცხარეწიგნი**
- **მწიბრიანი წიგნი**  
(მედიკალი და ჰეალთი)
- **მწიბრიანი წიგნი**
- **მწიბრიანი წიგნი**
- **მწიბრიანი წიგნი**

**ტექნოლოგიური ნაწილი ბავშვი**

ბავშვის კირველ გვირგვინ — მთავარი მითიური; მითიური — ზურაბ დათავსვის ფორმები.

**წიგნიანი წიგნი „საქართველოს ქალის“ ჩამატება და წიგნიანი წიგნიანი სასაზღვრო „საქართველო“.**

**წიგნიანი წიგნიანი 1998 წლისათვის**  
საქართველოს წიგნიანი-წიგნიანი სასაზღვრო „საქართველო“.  
მ. კოსტავას ქ. 2016.

„Sakartvelos Kali“  
Georgian Woman  
a Magazine for Women of the  
Republic of Georgia

მაგარ თქვენი ჩინებები მუდამ ღმირიანი და უკრავ-  
ლომ უმომავლ, აღზარა ტალღაუარავლის კარა ბუნება.  
ზე ყოფნა ჩემი ბედნიერებაა, — თქვა ჩვენი საუბარში  
საქართველოს ტალღალომარაბების ღმირიანი მთავარი  
მითიური.

**დ**ავაზუსტებ: ჩვენ ვსაუბრობდით გაყინულ ოთახში რუხი უსიზარულო ზამთრის ერთ ნაწილს — ფერ დღეს. ქუჩაში მიმოლოდნენ უდიმილო, თაყიანთ პრობლემებზე ღრმად ჩაფიქრებული ადამიანები ცარიელი ჩანთებით, ჩაცვნილი თვალებით.

ზოგი მათგანი ცერად გაზედავად რელაქციის პირდაპირ კომერციული გასტრონომის ვიტრინას, რომელშიც წყება-წყებად ეწყო უცხო სურნელოვანი ძეხვი, კლოგარამი რაღაც წარმოუდგენელ ფასად. — ვისთვის, რისთვის, რატომ? — ბოლბა, უსასოობა, უმისამართო რისხვა, აი



ქეთევან მთავარი შვილებთან

დავით იაკობაშვილის ფოტო

რა გერმონები ჭარბობდა ადამიანთა სახეებზე და მათი შეწყურე ვერ იტყოდი, თუ უპრობლემო კაცო კიდევ დადიოდა საქართველოში.

ქეთის თეთრ ნაქსოვ პალტოზე თეთრი ბუწვი და შუქიანი ღიმილი უპრობლემობის ილუზიას ქნინდა.

ჩვენ ვსაუბრობდით პარიზზე, საიდანაც მე უფრო ადრე და ქეთი სულ რამდენიმე ხნის წინ იყო დაბრუნებული. ამ თემას რა ამოწურავდა? და უცებ ქეთი თქვა: — თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა მკითხა (იქ ვასწავლი ტელერადიოს წამყვანის სპეციალიზაზე):

— თქვენი, ყოველთვის ასე ლაღად და ღიმილით რომ საუბრობთ, პრობლემა საერთოდ არა გაქვით? პრობლემები, გაკვირბანი, მაქვს.

ერთ თოხაში ცეცხვობოვ სამ გავეშვილთან ერთად. წარმოდგინებულ დეკადენდლ პრობემებში სამი ბიჭის (უფროსი 14 წლისაა, ტყუპები 3 წლისაზეერისები) უმაჟოლ გაზრდა. ახლა კი მოცეკვი ბინა მშენებარე სახლში, მაგრამ მის დამთავრებას საშუალება არ ადგას. ეს და უამრავი სხვა ყოფილი პრობლემა ყოველდღიურად აღიბარძქ თება ჩემს წინ, მაგრამ იგი პირადი საქმეა და რა უფლება მაქვს ჩემთა ისედაც დაუხედავო ყოფა სხვა მოლუწული ცხოვრებით დაეამბინო, მაშინ რაღა პროფესიონალი ვიქნები?

სტუდენტის შეიკოხება გამახარია. თუკი ტელემაყურებელს აბეჯარი იმეურთა გაურჩდა, მაშინ, ჩანს, მიზნისათვის ნაწილობრივ მაინც მიმაღწევი.

...ჩვენი საუბარი ისევ პარიზს გადაწვდა. გაეხსენეთ პარიზელი ქალი თავისი მწვლად ასახსნელი განმეორებელი „შარბით“ და მე დაეინტერესდი ქეთის აზრით, მაინც რა უქმნიდა პარიზელ ქალს ამ „შარბში“?

ქალი რთული ფენომენია, — თქვა ქეთიმ, — მისი ბოლომდე ამოცნობა შეუძლებელია და არც პარიზელი ქალის ასე გამორჩეული მომხიბვლელობა ადვილად ასახსნელი. იქნებ ის, რომ მოწონს რიგებში ყოფა მათ საშუალებას აძლევს მეტი იფიქრონ სულიერებაზე. იქნებ ის, რომ სახელმწიფო საგანგებოდ ზრუნავს შეუქმნას მას ქალად დარჩენის ყველა პირობა. მარტო ფრანგული პარფიუმერია, კოსმეტიკა, ტანსაცმელი რად დარს! ასეთ მალაზიებში ერთ-ერთ სათავე რომ დაჰყო, იქნებ სულ სხვა ქალი გამოხვალ, მე იმ მალაზიებთან ვერ ვერდებოდი,

არ შემეძლო გულისტკივილისა და სინანულის გარეშე შეცქერა ამ ჯადოსნური სამყაროსათვის.

პარიზში სილამაზის სალონის პატრონი ქალბატონისაგან (იგი რამაშ პაპუაშვილის მეუღლე) ინტერვიუ აკავებ. ვნახე რა პროცედურები დაუტარებდა აქ შემოსული ქალს და დაგრწმუნდი: აქ მის კუნძიც რომ შემოიტანო, გასვლისას მშვენიერ ქალბატონად მოგიჩვენება.

ჰოდა, იმ ქალბატონს ვკითხე ჩემი მაკაჟი რამდენად პროფესიულად არის შესრულებული-მოქი. შემეპო ჩემი თვითმეოქმედება. ამით იმის თქმა მინდა, ქართველ ქალს თავისი ბუნებრივი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალება რომ მისცა, მასზე მშვენიერი ქალი მწვლად მოსაძებნი იქნებოდა.

ერთხელ ისრაელში იმის მოცემე ვახვდი, როგორ ეხვეწებოდნენ კოსმეტიკის უდიდეს ფირმის წარმომადგენელი ტელედიქტორ ქალს: მოდი, აირჩიეთ ჩვენი კოსმეტიკაო, ეს მათთვის პრესტიჟის საქმეა, რეკლამაა. მოსკოვშიც კი ტელევიზიის საგნობიროს კინოსტიან დიორის პროდუქციით ამარაგებენ. ჩვენ უბრალო პუდრას ვიხვეწებთ, ახლა ჩაცმება დაბურვა? ვის აინტერესებს რა გაცეცია, სად მოვლდები, რთი ციდილობა? ეს ჩვენიან პირად ინიციატივაზეა მიგებებული.

კანადაში ყოფნისას საბარცემანტორი წავიყვანეს. არ იტყვი, რა სიაბოფებაა იქ ყოფნა? მანიკური, პედაკური, მასაჟი, ვარცხნილობა, — ყველაფერი ერთდროულად კეთდება და თუმცა თმა ცუდად შემჭრეს, მაინც საუცხოო მოვარება გამომეცა. ჩვენი ვასაცოდებდებოდ საბარცემანტორებში ბევრად უკეთი ქარეჭვენ. ნიჭიერი ხალხი ვართ მართლაც. რა დასანანია, რომ ამ ნიჭის რეალიზაციის საშუალება ნაკლებად ვკვეძები.

ახლა ისე არ გამვივით, თითქოს სხვა ქვეყნის ქალებს პრობლემები არ ჰქონდით. პოლინეთში, მაგალითად, ქუჩაში სიარული გსიაროვნებს, იმდენი ტანად ქალი დაღის ამაყად თავაწეული, მშვენივრად ჩაცმული, (სხვათაშორის, ბეიბანჩები — ზღისღავა ზაპაოს-კა პოლონელი იყო) მაგრამ როგორც მიიხიბვს, იქ შეწყვედ დავს ქალის მარტოსულობას პრობლემა. ქალის დამოუკიდებლობა ხშირად მეტად ამბავრებს ამ პრობლემას. მოვარცხუდ ყოფნა სულიერი სიმარტოვის პრობლემა უფრო გამანადგურებელიც კია.

ეს არ არის მარტოვი რამაშ მაგალითად, ისეთი ცხოვრება მაქვს, დამოუკიდებელი უნდა ვიყო, შემართებული. არა და, მაშინ ამ მინდა ვივაც ჩემზე უფრო ძლიერზე დამოკიდებული, სუსტი ქალი ვიყო. არ არის ამგვარი ფუნქციის საშუალება.

რა გქნია, იმედით ვცოცხლობ. სამაგიეროდ მეგავს კარგი შეილება, უღალატო მეგობრები, საიმედო მშობლები, სავარგები პროფესია: 17 წელია საქართველოს ტელევიზიის დიქტორი ვარ, ამავე დროს ვასწავლი თეატრალურ ინსტიტუტში, ერთხელ კინოშიც მამოწვივის როლზე. მაგარა ამ ბოლო ხანებში უემარიოსის გინონბაც ვამოქმალა. რაღაც მეტი მინდა ვაპოვო. ცოტა ხნით უცხოეთშიც წავიდოდი — მაქვს საინტერესო გემგები.

— როგორ ცხოვრებას ვისურვებდი ჩემი შეილებსთვის? საინტერესოს. მათ მწვლად როს მოუწიეთ ცხოვრების დაწყება, მაგრამ ისიც კია: მშვენიერად და დიდ ტელეანტებსაც შობს. მე მათ დამოუკიდებელ კაცებად ვზრდი. უფროსმა მინდა საზღვარგარეთ განავაროს სწავლა, თუ მატარიალურად შეეძლება.

— თავიდან რომ ვიწყებდე ცხოვრებას, რა შევცდებოდი, რა შეცდომას აღარ გავიშობებდი?

მართალია, რთული ცხოვრება მქონდა, მაგრამ ბედს მაინც არ ვეძღუორი, თუნდაც რამდენიმე მშვენიერი მომენტისთვის იორდა ყოველივე. ზომ დაგდიოდი პარიზის უცნაური, თითქოს იმპრესიონისტული მზით დაგათეუდ ქუჩებში და ვებუტუბტბდი: „სიხშირად ნანახი იორბა, ზოგჯერ ცხადიც ახლდა“. იცებდა ხანდახან მაინც ზომ მიხლებოდა. ჰოდა, ამიტომ აღბათ არავფერს შევცვლიდი და არც ბედსწერას დავარქმევდი შევლომას. ყოველი აღმაიანი თავისი ბედით თუ უბედობით მიუყვება ცხოვრებას. აღბათ იმიტომ არის იგი ასე მოუღლენელი, რთული, საინტერესო, განმეორებელი.

მე სიცოცხლის ტრფილი ვარ, თუნდაც იგი სახვე იყოს შევლომებით, ზიგაგებით, მოვლემებით. იმასაც კაცობიხელთ: მთლად უშეცდომო კაცი არ მქვას. ამიტომ მოდი, ნუ დაუთვლით ერთმანეთს შევლომებს, პირიქით, დავემხმარებო მათ დავეწყებაში.

ასე რომ, თქვენს ბინებში კვლავც ღიმილიანი და უპრობლემო შემოვალ. დილა მშვიდობისა...

4 წლის გოგონას ლალიკო ვ-შვილის დედამ, ჩვენმა კოლეგამ, რედაქციაში რვეული მოიტანა, რომელშიც სიტყვა-სიტყვითაა ჩაწერილი ბავშვის გამოხატვაჲები. ისინი უცნაურ ფორმებს აღ-ძრავენ. დედამ, რომლის გულწრფელობაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, არ ისურვა გვიჩვენა გოგონას გამოხატვა. უფიქრობ, მკითხველს დაინტერესებს პატარა გოგონას არამყველდებრივი ხელვა-წარმოხატვანი.

[გრამ]

# „მე მწვანე უშუალო გოგონა“



ცხრა თვის შემდეგ შემეძინა გოგონა. ლალიკომ ადრე დაიწყო ლაპარაკი. ოთხი თვისა გარკვევით ამბობს „დედას“. ერთი წლის ასაკიდან რამდენჯერმე წაითხვის შემდეგ შეუცდომლად იმეორებს ხუთ-ათ სტროფიან ლექსებს. განსაკუთრებით ვაღვილებს „ვეფხისტყაოსანი“, ლაპარაკობს გამართულად.

ორი წლიდან კითხულობს, იკვებს წაითხული წინადა-ღებების შინაარსს, ოთხი წლისამ ისწავლა რუსული კითხვა, ერთ თვეში დაიმახსოვრა რამდენიმე ათეული ინგლისური სიტყვა. ლალიკო სწავლობს თვითონ, ძალდა-უტანებლად, შეკითხვებით, ძალით მტაკებს ცოდნას... და, რაც მთავარია, ისეთ უჩვეულო საგნებზე ლაპარაკობს, რაც პირველად მამინებდა კიდევ, მეტე შეგვივით. ახლაც არ ვარ დარწმუნებული საჭიროა თუ არა ამ ჩანაწერების გამოქვეყნება.

დედის ჩანაწერი

\*\*\*

წლის და ორი თვის ლალის ბებიამ ვერადი სუ-რა-ებიანი წიგნი „ცხოვრება იესო ქრისტის“ მოუტანა.

— ეს ხომ ვიცო, — თქვა ჩემად. — მე ამ წიგნს სკო-ლაში ვსწავლობდი, არ გახსოვს, დედიკო? — არ ისევ-ნებდა პატარა.

სამი-ოთხი თვის შემდეგ ლალიკო ეკლესიაში წაი-ყვანეს.

— აი, ასეთ სკოლაში ვსწავლობდი დემეტრის წიგნს, — უჩრჩხულა დედას.

\*\*\*

— ლალიკო... „კითხულობს“ ლალი თავის სახელს ცაზე. შემდეგ დედას მიუბრუნდა და ეუბნება:

— დედიკო, ცაზე, სულ ზევით ლალი ვ... შვილი წე-რია. დემეტრე დაწერა ჩემი სახელი ცაზე.

დედიკო, არ გიკვირს, ცაზე როგორ უნდა დაიწეროს სახელი?... დაწერით ხომ ფურცელზე იწერება... აი, ჩემი სახელი კი ცაში წერია დედიკო, გესმის, ეს როგორ შე-იძლება?!

## ორი წლის

ლალიკომ ღამით გაიღვიძა, წამოყვანა და თვალი ბა-ლიშს გაუშტერა.

- ბები, მტრელმა კენა იცის?
- არა, შვილი, რა მოხდა?
- ვერ ხედავ, ჩემს საწოლზე მტრელი ზის?

სიყვარულით შევქმენი ოჯახი. ვადიოდა თვეები, მაგ-რამ შვილი არ მემღეოდა. ქორწინების წლისთავზე სიზ-მარში დღისმშობელი გამოემეცხადა. ღვთისმშობელს ხე-ლისგულზე სიბი ქვა ედო. — აი, შენი შვილი, — გამო-მიწოდა ხელი. შევხედე. სიამ ქვაზე თეთრი ზეწარი იყო გაფენილი, ზეწარზე პირქვე ჩვილი ბავშვი იწვა.

ამ ზმანების შემდეგ გაიარა სამმა დღემ. ვხედავ, ზღვის ნაბიარს ვდგავარ. ზღვა და ხმელეთი არაბუნებრივ ნა-თელშია გახვეული. ცას ავხედე, გახსნილი ციდან მზის-ფერი ხომალდი დაცურდა დედამიწისკენ. ქიმზე სხი-ვებში გახვეული ქრისტე იდგა. სხივები თვალს არ ჭრი-და. არამქვეყნურ სიკეთეს ასხივებდა უფლის სახე. და-ვიწოვე. ქრისტე დემეტრე მომიახლოვდა, ოჯახე უღლი დამადო და დამლოცა.



ბებიამ ვერაფერი შეინიშნა და დაუწყყო დამშვიდება.  
 - ბები, მართლა ვერ ხედავ? ჩემს ბალიშზე მტრედს  
 ვერ ხედავ? - ლალიკო მიჰყა, თვალები არ დაუხუჭავს.  
 რამდენიმე წუთის შემდეგ წაიფრდა და დანახებით თქვა:  
 - ბები, მტრედი გაფრინდა.

\*\*\*

- ღელიკო, იცი როგორ მოგვიღი ციდან? ცა დაქვეტი-  
 ლია. ღმერთმა შომცა გასალეხა; ცა გაუხსენი და შენს  
 მუცელში ჩაუჯექი... ღმერთი გვზრდის და ისე გვგზავ-  
 ნის. მე მწვანე შუქით მოვდილი...

**სისხლიანი ცრემლები**

ლალიკოს ღელა მოყვნილი ზის, მაგრამ არ ტირის.  
 გოგონა მიუახლოვდა, მიუფერდა, თვალბში ხაკოცა,  
 შემდეგ თითქოს ცრემლები შეუმშრალა და უთხრა:  
 - ღელიკო, შეტი არ განხო, კიდევ სისხლიანი ცრემ-  
 ლებით იტრია.

**სამი წლის**

192 წლის ორი ოქტომბერი - ლალიკოს დაბადების  
 დღე.  
 - მე წუხელ ცაში ვიყავი, კიბეებით ავედი.  
 - არ მოიტყუო, - გააფრთხილა ღელამ.  
 - არ მოგოტყუებ. ღმერთს არ უყვარს მატყუარა  
 ადამიანი. იქ რადღანირი კიბეებია. ადრე ღმერთს აგ-  
 ყავდნ ცაში, წუხელ მე თვითონ ავედი.. იქ სამი ღამ-  
 ხელნენ, სამი ეკიდნენ ცაზე. ქრისტე ღმერთი... მეტი  
 თქმა არ შეიძლება.  
 იქ სამი ცაა. მოიცავთ დავითვალო - ერთი, ორი, სამი,  
 და სამი იყვენ.

\*\*\*

**წიგნი**

ლალიკომ დახატა უცნაური ფორმის სხეული და ღე-  
 დს მისოვა ჩაეწერა მისი ნათქვამი.  
 - ეს არის პლანეტა, ხადაც გამოცხადება ზღვა. 3  
 ოქტომბრის შემდეგ აქ ზღვა გამოცხადება. ეს ცოცხლე-  
 ბის პლანეტაა. როცა ცოცხლი ვარ, ამ პლანეტაზე ვარ,  
 როცა მომკვდარი ვარ, მაშინ ამ მკვდრების პლანეტაზე  
 მივიღვარ (კვლავ მიზანა უცნაური სხეული). მკვდრე-  
 ბის პლანეტაზე დამე ავიღვარ ცაში. ღმერთს საკუთარი  
 პლანეტა აქვს. ორივე პლანეტას მრავალი კარები აქვს.  
 მკვდრები რომ შევლენ შიგნით, გარეთ ევლარ გამოდნან.  
 მე შემომძლია მკვდრების პლანეტის კარი გავლო და გა-  
 მოვიღე. მე შემომძლია ამ ნაწიერშიც შევიღე. ცოცხლების  
 პლანეტას სამება მქარველობს. პირველი ექვსის პლა-  
 ნეტაა, მეორე - ხუთის. ექვსი ცოცხლების პლანეტაა,  
 ხუთი - მკვდრების. ახლა ორივე პლანეტაზე ზამთარია.  
 ეს ჯოჯოხეთია. მე კარბობამ მიველა, მაგრამ შიგნით  
 აღარ შევიღე. იქ ცული ბოროტებია და კარები დაეშუქტე-  
 ეს კარია, აქედან შედიან. შიგნით ჯოჯოხეთის წვიმა  
 მოდის. შიგნით დასაჯული ხალხია, ღმერთს არ ეცოდე-  
 ბა ისინი, მათ ცული სიბნელე აქვს.

ესეც ჯოჯოხეთია. (ნახატს საქართველოს რუკის  
 ფორმა აქვს) ამ ჯოჯოხეთში კარგი ბოროტები არიან,  
 ღმერთს ეცოდება ეს ბოროტები.  
 ღმერთი მეუბნება: - იმატომ გაგაზნავე ღელამწაზე,  
 რომ ჯოჯოხეთში ჩახვიდე და იქიდან ბოროტება გან-  
 დავსო. ისინი კარბები გახადო და ღმერთის მიხამართი  
 ანწავლო.

ღელიკო, ღვთისმშობელს ვცხადებო, ხელში მიგე  
 ვანს, მეფერება და ჩუმაღ მეუბნება, დიდი გიზრდება და  
 ყველაფერს გაავებო.  
 ეს არის ჩიტების ჯოჯოხეთი. აქაც არიან მტრედები,  
 ოღონდ შავებია არიან. მე სოფელში თეთრი და მზისფე-  
 რი მტრედი მეცხადებოდა.

\*\*\*

- ღმერთს ცაში ზარები აქვს. ზარებს ბავშვები რე-  
 კავენ. მეც ვრეკავ, როცა ცაში ვარ.

\*\*\*

- ღელიკო, წუხელ ცაში ვიყავი და იქ მარტო დამი  
 ვნახე. (დათო, - ახელ ქართულიშვილი, გმირულად და-  
 დუნა გადარსიან ბრძოლაში). დამომ მითხრა, ღმერთს  
 თავის სათამაშო პლანეტაზე წავიდა, იქ თოფებს კვან-  
 ძავსო.

\*\*\*

- ლალიკო, შუბლზე რა გახატია?  
 - ანგელოზო.  
 - ვინ დაგახატა ანგელოზო?  
 - ღმერთმა გამომასახა. (შუბლზე მართლაც გამოჩე-  
 ხული აქვს ფრთავილილი ანგელოზის კონტურები).  
 - რატომ?  
 - ჯერ მე უნდა ვიწამო ღმერთი და მერე სხვას ვაწა-  
 მებინო. სულ ღელიკოსთან მინდა ყოფნა. როცა ღელასთან  
 ვარ, ღმერთს ვხედავ. ღმერთი ზურგს უკან მადგას,  
 თურბუბი. აცვიცა, ქრისტე ღმერთი მაღას თავზე.

\*\*\*

16 დეკემბერი. ბარბარობა ღამეს მძინარე ლალიკო  
 შფოთავს.

- ღელიკო, ყვანარალები... ყვანარალები იკბინებიან?  
 - არა, ვენაცოდე.  
 - შენთან გადმოვალ და შენს გულში დაგწვივებ რა?  
 პასუხს არ დალოდებია, მძინარე ღელას ჩაეკრა გულში.  
 - ღელიკო, ყვანარალები არიან. ორი, სამი, ოთხი, ბევ-  
 რი მოფრინდნენ და შეუბნებიან, შუბლში უნდა ჩავი-  
 ნისკარტოთი. ღელიკო, ვილოცოთ...

17 დეკემბერი. ლალიკომ შუადღით დაიძინა.  
 გაღვიძებულმა:  
 - ღელიკო, რომ მძინავ, ორი მტრედი მოფრინდა და  
 შუბლზე მაკოცა. ღობიო მომიტანეს და მითხრეს; - ეს  
 ღობიო ღელამენს მიეცი და შეინახოსო. მტრედები ერთი  
 თეთრია, ერთი წითელია. მეუბნებიან - შენთან ღმერთმა  
 გამოგვაგზავნა და იმან გამოგვაგზავნა ღობიოც. ესენი  
 სულწინად მტრედები არიან. შენთან გადმოფრინდნენ,  
 ღელიკო, და შენც შუბლზე გაკოცეს. რა ცოლვა ზარ,  
 შენ რომ ვერ გაიგე; მტრედებმა ყვანარალები გარეკეს.  
 შავი ყვანარალები ჩიტების ჯოჯოხეთიდან იყვენ, ცული  
 პლანეტიდან.

17 დეკემბერი. ღამით ლალიკო იძინებს. ძილ-ბურანში  
 წასული ჩურჭოლებს.

- ღელიკო, მტრედები მოფრინდნენ. თეთრი და წი-  
 თელი. თეთრ მტრედს წითელი ფრთები აქვს, წითელს  
 თეთრი. იმიტორ მოფრინდნენ, რომ ყვანარალები ვერ  
 მოვიდნენ. ღელიკო, ქრისტე ღმერთი მოვიდა, დავიარქე  
 და ვაკოცე. ქრისტემ ხელში ამიყვანა და ორჯერ მაკოცა.  
 ქრისტე იცინის, მტრედებაც იცინიან და შუსლზე  
 მკონდნენ. ღელიკო, მტრედები მხრებზე მომიკარენ, ღელი-  
 კო, მეც ფრთები გამომესხა, ღელიკო ქრისტეს ცაში მიე-  
 ვადრო.

— დღეიკო, მტრელებს ნისკარტები არ ჰქონდათ. ნიკაპი, ტურნები, ცხვირი, თვალები და შუბლი პატარა აღამიანისა აქვთ. ტანი მტრედისა აქვთ.

— აფხაზეთში პატარა უბედურება იყო, დღეიდან დიდი უბედურება მოხდება.

— რად ზდება ეს ომები, არ ვიცი. ეგ მხოლოდ ღმერთმა იცის. ცაში ლაპარაკობენ, მაგრამ მე ჯერ პატარა ვარ და ვერ ვივებ. ანტიქრისტე უკვე მოვიდა, ის უკვე ჩასახლდა ხალხის ბინებში, და იმიტომ ზდება ყველაფერი ცუდი. ჩვენს სახლშიც იყო ანტიქრისტე, მაგრამ მე ის ლოცვით განვდევნე. ცაში რომ ავალ, ვკითხავ ღმერთს: რად იღვრება სისხლი? და თუ ნებას დამირთავს, ვატყვი.

— რატომ არა აქვს ლალიკოს ან ჩემი ან მამამისის ვეუიამ სისხლი? — ვკითხა ლალიკოს დედამ მეგობარ ექიმს;

— იმიტომ რომ მე ქრისტეს სისხლი მიდგას, — უწერ-ჩულა ლალიკომ დედას.

### ძაშუპიტის ღოცვა

ლალიკომ სამი სანთელი დაანთო, დადის ეკლესიაში და ფრესკებს ათვალიერებს.

— ერთი სანთლის ფული მომეცი, — სთხოვა დედას. გოგონამ თვითონ იყიდა სანთელი და ეკლესიაში სიარული განაგრძო.

— მამა ღმერთს ვეძებ... განაპირა შანდალთან აანთი სანთელი, მივიდა საკურთხეველთან, დაიჩოქა და „მამო ჩვენი“ იღოცა. შემდეგ წამოდგა, თავდახრილი, გულზე მიკრულ ხელებში სანთლით დიდგა, სახე არაბუნებრივად ფერმა დაუფარა, თითქოს შვის სხივებში გაეხვია და



# მამა

მამა ნოზაძემ თბილისის სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი დაამთავრა — ტყავის მოდელირების სპეციალობით. არა და, მშობლების, ახლობლების დიდი სურვილი მისი იურისტობა გახლდათ, რაზეც თავად არასოდეს უოცნებია. ამიტომაც იყო, რომ პირველ წელს იურიდიულ ფაკულტეტზე შეტანილი წაბუთები უკან გამოიტანა, ისე რომ, მისაღებ გამოცდებზე არც გასულა.

განძობდა, რომ ეს არ იყო ის საქმე, რომელიც შეეძლო მთელი სიცოცხლის მანძილზე ეკეთებინა. აიდა და თავი მოიფარა. მერე ვაცდენილი გამოცდის გამო მექანიკურად მოხსნეს კონკურსიდან.

— მე მგონია, ეს ყველაზე ჭკვიანური ნაბიჯი იყო, დამოუკიდებლად გადადგმული, მართალია, შემდეგ მთელი წელიწადი გაშიცდა, მაგრამ სამაგიეროდ ვიპოვე ჩემი გზა, ჩემი პროფესია, რომელიც მივყარს.

სამუალო სკოლა ლავრდენში დაამთავრა, ხატვა მისი დიდი ვატაცება არასოდეს ყოფილა. ხატავდა როგორც ყველა ბავშვი, როცა მოესურვებოდა. თუმცა რეალურად მაინც საინტერესო იყო ეს ნახატები, მაგრამ მამინ არავინ ფიქრობდა, რომ იგი მისი საბოლოო არჩევანი გახდებოდა. არც თვითონ. ხატვასთან დაახლოება უწყო გვიან, დიდობაში მოხდა, როცა უკვე სხვა თვალთ ხე-

დავდა ყველაფერს, უფრო სერიოზულად და საზრიანად... იყო კიდევ ერთი მიზეზი, რამაც მას ხელოვნება შეაყვარა. ეს მისი ხატვის მასწავლებელი მაყვალა ქოროლიშვილი გახლდათ.

ჯერ ვხატავდი მხოლოდ იმიტომ, რომ მაყვალა მასწავლებელს მოსწონებოდა. სინტელქტით, ერთი ცდა, იგი მუდამ მისაბამი იყო ჩემთვის. მერე თანდათან რაღაცამ გაიღვიძა ჩემში. ჩემებურად დავერწყე საგნების აღქმა, სახეების, ხასიათების, ფესტების გამოცემა და ბოლოს მივხვდი, რომ ხატვა ჩემი განურყელი ნაწილი გახდა. ...მე ახლა ფერთა სამყაროში ვცხოვრობ...

მისი სამყარო ძალზე ორიგინალურია. აქ შეხვდებით ელევანტურად, დახვეწილი გემოვნებით ჩაცმულ ქალბატონებსაც და მზრებზე დაუდევრად მანტრომოდებულებსაც, სამეჯლისოდ გამოწვრილებსაც და ყოველდღიური, პრაქტიკული კოსტიუმებით შემოსილებსაც, მსუბუქი მხატვრული ორნამენტებით მორთულ ტყავის აქსესუარებს და მაკაბრი სისადავით გამოჩენულ დეტალებს, მოკლედ ყველაფერს, რასაც მაკას ფანტაზია, წარმოსახვა და ნიჭი ჰქვია...





დაიწყო ხმაშიაღლა ლოცვა. ლოცულობდა ძველი ქართულით.

- დედოკო, ეს პირველი ლოცვა იყო. ეს ჩემი ლოცვა იყო - ეს არავინ უნდა გაიკოს. ღმერთმა მიატყვევინა. უცებ ლალიკო კარისკენ შებრუნდა. - დედოკო, ქრისტე, - თვალები გაუფართოვდა, თიქოს გადაფრინდა კარისკენ. კვლავ ლოცვის ფორმა მიიღო, თვალები დახუჭა და ალაღაღდა:

- უფალო, ჩვენი გამჩენო, შენ დაიფარე ჩემი საქართველო. კაცთა მოღმის ბოროტბამ ზღვარს უწყია. შენ ააბტიე ცოდვები. - ეს დაახლოებითი სიტყვებია.

- დედოკო, საქართველოს გადარჩენისათვის საკურთხეველზე უნდა ვილოცო.

ლალიკო საკურთხეველისაკენ წაივდა. საკურთხეველთან ოციოდე წლის უწყვერ-უღვამო ბიჭმა შეაჩერა.

- არ შეიძლება მაღლა ასვლა - უთხრა მკაცრად.

- დედოკო, უნდა ავიდო, აუცილებლად უნდა ვილოცო.

- ჩამოიყვანეთ ბავშვი, - მიუბრუნდა ვაჟი ლალიკოს დედას, არ იცით, რომ იქ გადასვლა არ შეიძლება? გარეთ გამოვიდნენ. ლალიკომ ხელში აყვანა მოსთხოვა.

ვა დედას, - ძალიან დავიღალე, - უთხრა დედას მთელი დასველებულმა.

- დედოკო, მე საქართველოს გადარჩენისთვის მინდოდა ლოცვა, სატანამ კი ნება არ მომცა სოხუმე გადამერჩენა პატარა საქართველოსთვის. ვილოცე, უთბოვე გადარჩენა ქრისტე ღმერთს.

- პატარა საქართველო რას ნიშნავს, შვილო? - ოჯახს...

\*\*\*

- ვისაც ყური აქვს, ისმინოს, ანტიქრისტე ტახტს იშპაზებს უნაჯდომად.

\*\*\*

- ბები, ღმერთი ცეცხლით მოვა. ჩვენ ყველას გულს გავვისნის და პატარა ცეცხლს ამოვავცლის.

- ცეცხლი როგორა გვაქვს გულში?

- როგორ არა გვაქვს, აბა, სული რა არის, სული ცეცხლია.

- მაკა, შენ აირჩიე გამოყენებითი ხელოვნება, კერძოდ კი ტყავის მოღველირება, რამ განაპირობა ეს არჩევანი?

- ჩემთვის ხელოვნება არ არის რაღაც განყენებული, რეალურისაგან მოწყვეტილი. ჩემთვის მთავარია, არა მარტო ლამაზი საგნების ხატვა, არამედ მათი გაცოცხლებაც, რეალობად ქცევა. ამიტომ გადავწყვეტიე გამოყენებითი ხელოვნებაში შევადგა თავი, ზოლო რაც შეეხება ტყავს, იგი უფრო მრავალმხრივია, უფრო მსხპტაური. ტყავისაგან მზადდება ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჩანთები, ქაღალისა და მამაკაცის აქსესუარები. მოღველებისათვის შეგიძლია შეარჩიო სხვადასხვა ცხოველის, ფერის, ფაქტურის ტყავი, გამოიყენო იგი შენი ფანტაზიის, გემოვნების მიხედვით. ტყავიშ ნაკეთობა მე ბევრად ეფექტურად მიმჩნია ყველა დროსა და ყველა სტილისათვის.

- რამდენად შესაძლებელია დღეს ვსკიზების რეალური სორცშესხმა, არის კი ამის პირობები?

- სამწუხაროდ, ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა. ყველაფერი მწელი წაშოვნულია, არ არის მასალა, ძაფი, ტყავი, ნაჭერი, ის კი არა, ფუნჯის საღებავის, სახატავი ფორმატის შექმნაც ჭირს, სტუდენტები თავს ანებებენ სწავლას ელემენტარული უსახსრობის გამო. მაგრამ, იმედია, ასეთი სირთულეები დიდხანს არ გავრცელდება, ვფიქრობ, მალე დადგება მშვიდად ცხოვრების, სწავლის, მუშაობის პერიოდი, მანამდე კი საჭიროა სპეციალურად კარგად დაეუფლო. მერე კი, გემგმეი ბევრი მაქვს, მაგრამ მათზე უფრო არ მინდა საუბარი...

აკადემიაში პლასტიკასა და ესთეტიკას, ხელოვნებისა და კოსტიუმის ისტორიას, კომპოზიციასა და ფერწერას, გრაფიკასა და უცხო ენას დაეუფლა. მადლიერებით იხსენებს თავის პედაგოგებს, აგრეთვე იმ და ეკა ბახტაძეებს, რომელთა რჩევებმა პირველი პროფესიული სირთულეები დააძლევინა ახალგაზრდა მოღველიორს.

სასიამოვნო მოსაუბრეა მაკა, მით უმეტეს მაშინ, როცა თავის ლამაზ, ფერად წამყაროზე მოითხოვს, სამყაროზე, რომელიც არაფერზე გაცვალა და რომელიც, ვფიქრობ, ბედნიერ მომავალს და სერიოზულ წარმატებებს მპირდება...





# ფილტვების ანთიზა ბავშვებში

**დ**უბუშვორა ბავშვები ფილტვების ანთებით უცბად არ ავადდებიან; ანთების წინ უსწრებს სურდო, ცხვირის ცემინება, ხეღა. პირველ დღეებში ავადმყოფს სიცხე შეიძლება არც ჰქონდეს, მაგრამ თუ მაშინვე ზომები არ მივიღეთ, დაავადება თანდათან დამძიმდება; აღნიშნულს მოჰყვება ცხელება, სუნთქვის გაზშირება, ქოშინი და ნესტოების ბერვა. ახალშობილებს ზშირად პირიდან ჭიფიანი გამონადენი აქვთ; კანის საერთო სიფერმკრთალის ფონზე ცხვირტუჩის არე ულურჯოდებათ, ხოლო დაავადების მძიმე მიმდინარებისას სიღრუჯე შეიძლება მთელ ტანზეც გავრცელდეს.

ანთების გამომწვევი შეიძლება იყოს მიკრობები, ბაქტერიები, სოკოები და ვირუსები.

შეღარებით ზშირად ავადდებიან ის ბავშვები, რომელთა დედემატც ორსულობისას გადაიტანეს გრიპა ან სხვა რომელიმე ინფექცია, ორსულთა ტოქსიკოზი, აღნიშნულები დათ სისხლნაკლებობა ან ჰქონდათ პათოლოგიური მშობლობა.

ფილტვების ანთების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებიანდ განსაკუთრებით უნდა გამოვიყოს ნაყოფის ან ახალშობილის ასფიქსია (ყინებადის უკმარისობა), სამშობიარო ტრავმა, სასუნთქო სისტემის თანდაყოლილი სიმანინჯებები, ე. წ. იმუნური სისტემის დეფიციტი; ასეთი ბავშვები „რიკის ვაჟებს“ მიეკუთვნებიან. ფილტვების ანთების მიმდინარეობის ამბიუმებს: ალერგიული დიათეზი, რაქიტი, სისხლნაკლებობა, კრუნჩხვები, ნაწლავთა ამლილობა.

და ბოლოს, ბავშვის ირგვლივ

მყოფთა სასუნთქო სისტემის დაავადება ბუბუშვორასაც გადაეღება და ის ფილტვების ანთებითაც შეიძლება გართულდეს.

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შორის მთავარი ადგილი ბუნებრივი კვებას უჭირავს. ასევე აუცილებელია ბავშვის ორგანიზმისათვის სუფთა ჰაერი და მზის სხივები. ჰაერზე ბავშვი შეიძლება გაფიქვანოთ 10 - 15 გრადუს ტემპერატურაზე, უფრო სიცივეში კი ვერანდით ვსარგებლობთ ან ზშირად ვანიავებთ ოთახს.

მზე - მდღარია ულტრათიფერო სხივებით (იგი ხედას უწყობს ბავშვის ზრდა-განვითარებას და გარდა ამისა, რაქიტის პროფილაქტიკის ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორებია) განსაკუთრებით დილის 9-დან 11, ხოლო საღამოს 5-დან 6 საათამდე. ჰაერისა და მზის აბაზანები ბავშვებს ჩრდილში უტარდებათ.

ბავშვის გაკაფებას ადრეული ასაკიდანვე ვიწყებთ სხეულის მასკითა და მარილიანი წყლით დაზეღვით (1 ლ. წყალზე ვიღებთ 1 ჩაის კოვზ მარილს), დაზეღვას ის თანდათან უნდა შეეცნვიოთ. პირველ ორ დღეს ვუზღვით ზემო და ქვემო კიდურებს, მესამე დღეს - სხეულის წინა ნაწილს კიდურებთან ერთად, ხოლო მეოთხე დღეს ვუზღვით მთელ სხეულს. წყლის ტემპერატურას თანდათან ვამცირებთ 37,5-დან 36,5-მდე. სასურველია ეს პროცედურა გაზაფხულზე დავიწყოთ; დაზეღვის შემდეგ გადავიკეთოთ შხაპზე.

ოჯახში ინფექციის არსებობის შემთხვევაში სასურველია ბავშვის იზოლაცია ავადმყოფისაგან, მაგრამ როცა ამის საშუალება არ არის, საჭიროა ოთახის ზშირი

განიავება, იატაკის სველი ტილოთი გაწმენდა, ცხვირში ინტერფერონის ჩაწვევება, ხოლო დაავადების გამოვლინებისთანავე საჭიროა მიემართოთ ექიმს.

ფილტვების ანთების რეციდივის პროფილაქტიკისათვის აუცილებელია მისი განვითარებისათვის ხელშემწყობი ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორცაა: არასასურველი სოციალური სფერო (ბავშვის ნაადრევი გადაყვანა ხელღვნურ კვებაზე, კვების, ძილისა და სიფხზხლის რეჟიმის დარღვევა, არარეგულარული განცინება სუფთა ჰაერზე, შერბობის იშვიათი განიავება, თამბაქოს მოწვევა ოთახში, სადაც ბავშვია და ა. შ.) ოჯახის წევრთა შორის ან ახლო ნათესავეებში ბრონქო-ფილტვის ქრონიკული და ალერგიული დაავადებების არსებობა, დედის დამძიმებული ორსულობისა და მშობიარობის ანამნეზი, ახალშობილის ტრავმა და ჰიპოქსია, რამოდენიმეჯერ გადატანილი ფილტვების ანთება ან სასუნთქო სისტემის შუავე რესპირაციული დაავადებანი (ასეთ ბავშვებს ზშირად მთავად ბავშვებს ვუწოდებთ და განსაკუთრებულ მეთვალყურეობასს სწუწვით) რაქიტი, ალერგიული, დიათეზი, ნაწლავთა ზშირი ამლილობა და სხვა; ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო აუცილებელია ავადმყოფი ავიყვანოთ დისპანსერულ მეთვალყურეობაზე, დროულად ჩაუტაროთ პროფილაქტიკური აცრები და სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

## ვენერა რუსიკა,

ექიმთა დახელოვნების თხოვლის სახელდროცა აკადემიის ბავშვთა სწეულებათა კათედრის დოცენტი.



# აკიდგინე დააკარგული ენერგია!

ზოგჯერ დღის განმავლობაში ისე ვიღვლებით, რომ სახლში მისულეხს ერთადერთი სურვილია გვაქვს: დაწვეთ და დავიძინოთ. ძილი თავისთავად განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. უმეტეს შემთხვევაში ახლადგავიძებულები ენერგით ვართ სავსე, თუმცა დღის განმავლობაში ენერგია საგრძნობლად კლებულობს. ექიმი ანტონიო რობლეხი ამტკიცებს, თუ ადამიანი ღამის თერთმეტ-დან თორმეტ საათამდე წეება დასაძინებლად, ყველაზე კარგად თავს მერე დღის ათიდან თერთმეტ საათამდე გრძნობს, ყველაზე დაღლილი კი შუადღის პირველიდან ოთხ საათამდე იქნება. საღამოს ექვსიდან ცხრა საათამდე კი ისევე იგრძნობთ ენერგიის მოზღვაებას. დაკარგული ენერგიის აღდგენა ყველაზე კარგად ვარჯიშით შეიძლება. დიდი ყურადღება მიაქციეთ საკვებსაც. სასურველია დღეში ხუთჯერ მცირე ულუფა მიიღოთ. თუ გსურთ მთელი დღე ჩიტივით მსუბუქად იყოთ და სამ-

სახურში ძილის სურვილმა არ მოგაართო, ნუ მიირთმევთ შუადღეზე ნოყიერ საკვებს, შემოიფარგლებთ ბუტერბროდით და ფორთოხოს წვენი. გაწუსებულ რაოდენობით შევიძლიათ მიირთვათ ხილი და ბოსტნეული. იმისათვის, რომ უკეთ იახროვოთ მენიუში ჩართეთ ვაშლი, მსხალი, ატამი და მიწის თხილი. ხილი, ისევე როგორც მცირე რაოდენობით შემწვარი კარტოფილი, დავეხმრება ძილის განდევნაში. გამოფხინვლების საუკეთესო საშუალებაა კოფეინი, მასჩულებს შტაბის ტექნოლოგიის ინსტიტუტის მონაცემებით ადამიანმა დღეში 128 მილიგრამი კოფეინი უნდა მიიღოს, რაც ორ ფინჯან ყავას უდრის. განტვირთვისა და გახალისების საუკეთესო საშუალებაა აერობიკა. საერთოდ, ადამიანი კვირაში 700-დან 2000-მდე კალორიას უნდა წვაგდეს. ამის მიღწევის საუკეთესო საშუალება 30-45 წუთით ფეხით სიარულია. ვარჯიში ნელ-ნელა უნდა დაეწყოთ.

თავიდან დღეში სამჯერ უნდა ვივარჯიშოთ 5 - 10 წუთი. შემდეგ დღეში ორჯერ 15 - 20 წუთი და ბოლოს ერთხელ 30 - 45 წუთი. ვარჯიშით, ვიტამინების შემცველი საკვების, ხილისა და ბოსტნეულის მიღებით იმას მიღწევთ, რომ დღის განმავლობაში მხნედ იგრძნობთ თავს, ენერგულად შეებმებით ნებისმიერ საქმეს და სახლში დაბრუნებულს ტელევიზორთან კი არ ჩავეძინებათ, არამედ ჯარასავით დატრიალდებით და ოჯახის წევრებსაც გაახალისებთ. აგრეთვე ვთავაზობთ ერთ მარტივ ვარჯიშს, რომელიც სწრაფად მოგიხსნით დაღლილობას. ოთხ დათვლაზე ჩაისუნთქეთ ცხვირით რაც შეიძლება მეტი ჰაერი, გაჩერდით და დაითვალეთ რვაამდე, ამის შემდეგ ნელა გამოუშვით ჰაერი ცხვირიდან. ვარჯიში უკეთიერად შეამჯობოთ.



## ამჟის შპიითხა თვის უსასხა




1. თმის ბოლოები ორად მეყოფა, რა ექნა?  
- საუკეთესო გამოსავალი თმის შეჭრაა, თუმცა არსებობს სპეციალური კრემი, რომელიც დაბანის შემდეგ სველ თმაზე უნდა წაიხა.
2. მართალია, რომ ფენი საჭიროზე მეტად აშრობს თმას?  
- მართალია, ამიტომ ფენის ხშირად ხმარება არ არის რეკომენდებული, ზაფხულში, თმა ჰაერზე გაიშროთ, მაგრამ არ დაგაიწყდეთ, რომ მზეში დიდხანს ყოფნა თმასაც ენებს.

3. ამბობენ, თუ თავის დაბანს შემდეგ ცივ წყალს გადაიღვეთ, თმა მეტად აბზინდება...  
- ცივი წყალი კარგად მოქმედებს ხეულის სისხლის მიმოქცევის სისტემაზე, მაგრამ თმას არაფერს შეულის. გირჩევთ დაბანის შემდეგ ძმრანი წყალი ან ლიმონის-წვენივარული წყალი გადაივლოთ, თუ გსურთ თმამ მეტი ბზინვარება შეიძინოს.
4. მეჩვენება, რომ რაც უფრო ხშირად ვიბან თმას, უფრო სწრაფად ცხიმოვანი ხდება კანი.  
- კანის ცხიმინაობა დაბანის სიხშირეზე კი არა, შამპუნზეა დამოკიდებული. თუ ხშირ დაბანას ხართ შეჩვეული, იხმარეთ მსუბუქი შამპუნი.
5. რამდენ ხანში ერთხელ შეიძლება დავიხვიოთ თმა ისე, რომ არ დავიზიანო?  
- წელიწადში ორჯერ. ყოველ 8 თვეში თმა ექვსიდან ცხრა სანტიმეტრამდე იზრდება. პარიკმახერს შეუძლია მხოლოდ ის ნაწილი დავიხვიოთ, დანარჩენი კი ხელუხლებელი დატოვოს.
6. ახდენს თუ არა - გაუღუნას საკვები თმის ცვენაზე?  
- თუ თმა გკვივით, მიიღეთ რაც შეიძლება მეტი რკინის შემცველი საკვები.

ესპანურიდან თარგმნა თმა ზასახლია ჟურნალი „ღუნი“

შურადღება  
სისხლში!



# დედობა ბაზიოზის ასაკში

ქალის უზუნაესი დანიშნულება დედობაა, მაგრამ ხშირად მიზეზთა გამო, მას დედობის გრძობის განცდის შესაძლებლობა არა აქვს. ამ საკმეში ერთ-ერთი ხელისშემშლელი მიზეზი, შეიძლება ასაკიც იყოს. ბოლო ხანებში გახშირდა შემთხვევები, როცა ქალები ჯერ პროფესიულ კარიერას იკეთებენ და შემდეგ იწყებენ დედობაზე ფიქრს. ზოგიც ხელმორედ გათხოვების შემდეგ გადაწყვეტს ხოლმე გვიან ასაკში ბავშვის გაჩენას. ქალის ფიზიოლოგია კი ამის საშუალებას არ იძლევა. ამიტომ ხშირად მიმართავენ ტექნიკის უახლოეს მიღწევებს, ანუ ხელოვნურ პარაზიტში განაყოფიერების მეთოდს ე. წ. „სინჯარის ბავშვები“ გამოიყენებ. რა ასაკამდე დასაშვებია ამის გაკეთება?

არც თუ შორეულ წარსულში 40 წლის ქალს ხშირად თვლიდნენ. დღეს 40 წლის კი არა, 50 წელიც ახალგაზრდულ ასაკად არის მიჩნეული. ამ ასაკში ქალი აგრძელებს სქესობრივ ცხოვრებას და, ბუნებრივად დედობის ფუნქციის განახრადილებების სურვილიც უნდება; ასე რომ, შეინიშნება გვიანი ორსულობის ზრდის ტენდენცია.

როგორც საფრანგეთსა და აშშ-ში ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, ერთის მხრივ, ვაიზარდა 40 წელს გადაცილებულ ქმობიარეთა რიცხვი, მეორეს მხრივ კი, იზრდება ამ ასაკში დაორსულების სურვილი, რომელსაც ხშირად ახდენა არ უწერია.

არასასურველ ორსულობათა არსებობის მიუხედავად, ამ ასაკში მატულობს სასურველ ორსულობათა რიცხვი. საერთოდ, — დაორსულება შეიძლება მოხდეს ორი გზით: ბუნებრივად, ანუ კლასიკური და ხელოვნური.

40 წლის შემდეგ საკვერცხეები

არარეგულარულად ფუნქციონირებს, მაგრამ კვლავაც ბევრ კვერცხუარეს შეიცავს. ამ დროს ქალის ნაყოფიერება ქვეითდება. დაახლოებით 50 წლის ასაკში საკვერცხის მიერ კვერცხუარედის გამოყოფა საბოლოოდ წყდება და იწყება კლიმაქსი, რის შემდეგ ბუნებრივი გზით ქალის განაყოფიერება შეუძლებელია.

25 წლის ასაკში ორსულობა გაცილებით იოლად მიმდინარეობს, ვიდრე 40 წლის ასაკში. კონტრაცეპტივების გამოყენების გამო, ხშირად ქალი დროულად ვერ იგებს თავის უშვილობას და როცა გვიან ასაკში ბავშვის გაჩენას გადაწყვეტს, მაშინდა შეიტყობს თავის უსაყოფობას.

გვიან ასაკში მთავარი პრობლემაა ჯერ ჩასახვა, შემდეგ კი ორსულობის წარმატებით განვითარება. ექიმ ბელაიშალას აზრით, 30 წლიდან ქალს ნაყოფიერება ქვეითდება. თავად ორსულობის პროცესსა საგრძნობი პროგრესი განიცდია, მაგრამ ნაყოფიერების დაქვეითებას ვერაფერი ეშუქლა: გაახალგაზრდადაც 40 წლის ქალი და არა მისი დედობის უნარი. თუ მაინც მოხდა ჩასახვა, დედა-შვილს მრავალჯერადი საფრთხე შეიძლება დაეწყვიტოს. 10-20-იან წლის წინ 40 წლის მშობიარე ქალი, ძირითადად, მრავალშვილიანი დედა იყო. ამ ასაკში ორსულობა მძიმედ მიმდინარეობდა და ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა. ახლა ეს ტანსულობა რადიკალურად შეიცვალა. ექიმი ბელაიშალა 40 წლის ქალებს პირველი ან მეორე ორსულობისას ახალგაზრდად მიიჩნევს.

გვიანი ორსულობისას დედა-შვილიანთვის მრავალჯერადი საფრთხე არსებობს: მათ შორის, ნაადრევად მშობიარობისა და მცირე წონიანი ბავშვის დაბადების სა-

შისრობა. სახიფათოა ჰიპერტონიითა და დიაბეტით დაავადებული ქალების მშობიარობაც. ისინი გაცილებით მეტ ყურადღებასა და მზრუნველობას საჭიროებენ. 40 წლის ქალებისთვის დღესაც აქტუალურია დაუნეზის ან სიკვდილის სამიშრობა, რომელიც ქალის ასაკის მატებასთან ერთად იზრდება. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, მავალითად, საფრანგეთში 25 — 29 წლის ასაკში ორსულობის ან მშობიარობის დროს გოვლე 100 000 მშობიარეზე 6 გარდაცვლილი, 40 წლის შემდეგ კი — 37-ზე მეტი მოიღს, ე. ი. სიკვდილიანობა თითქმის 6-ჯერ იზრდება.

ექიმების წინაშე ეთიკური ხასიათის სერიოზული პრობლემაა: ტექნიკურად ჩაერიონ თუ არა ჩასახვის პროცესში ვიდრე არსებობს დაორსულების იმედი და ვიდრე ქალს აქვს წარმატების შანსი, ექიმი ბელაიშალა დასაშვებად მიიჩნევს ასეთი ხასიათის ჩარევას. ამ დროს მისთვის მთავარია საკვერცხის ასაკი, რადგან საშვილოსნო კვერცხუარედზე წელს ბერდება. 42-43 წლის შემდეგ ექიმ ბელაიშალას ორსულობა დაუშვებლად მიიჩნია.

ამ აზრს ყველა მისი კოლეგა როლი იზიარებს. შანტალ რამოელი და თავადაც ხელოვნურ ჰიპობიში განაყოფიერების შემდეგ შეეძინა ბავშვი. 36 წლისას, პირველი ხელოვნური განაყოფიერების წყალობით, ორი ტყუილი ყველა, მეორე განაყოფიერების შემდეგ კი — 3. ასე რომ, 2 წელიწადში 5 შვილი შეეძინა და თავს ძალიან ბედნიერად განიხილა.

გვიანი ორსულობის მისაღწევად ზოგჯერ კვერცხუარედის მიცემაა საჭირო.

დონორობის ორი სახე არსებობს: აშკარა, როცა კვერცხუარედს ნებაყოფლობით აძლევს ნა-



# პრინციპი ღირსეულობისა და დიმიტრიის ვაჟები.

ცნობ ქალს, მაგალითად, საკუთარ დას, რაც ადილად ვახაგვიანა, და ანონიმური, როცა კვერცხუჯრედის ანონიმურ სისტემაში ჩართულ პირს აძლევენ. დონორი სამედიცინო ჩარევას — ანესთეზიასა და ფუნქციას განიცდის. ეს კი ადვილი როია. კვერცხუჯრედის მიცემისას გუნეტაჟირო კოდე ვადაცემდა. ასე რომ, ხელოვნურ პირბეჭეში ჩასახვისა და სხვისი კვერცხუჯრედის წყალობით ხშირად ზურღდება უშივილობის ბარიერები და თვით კლიმაქსთან დაკავშირებული პრობლემის გადალახვა და, აქედან გამომდინარე, ჯდლობის სინარული განცდა. მამსადამე, დედობა ბუბიობის ასაკშიც ყოფილა შესაძლებელი.

იტალიელ ჯოზეფინა მავანუკოს 55 წლისა შეეძინა კლიმაქსის დროს ჩასახული ბავშვი — ანა მარია, პროფესორ სევერინო ანტონიონის დაზნარებით. იგი რომში მოღვაწეობს და კლიმაქსის დროს დარსსულობის პრობლემაზე მუშაობს. მისი მოღვაწეობის სფეროს ახალგაზრდა ქალის მიერ გაღებული კვერცხუჯრედის ხელოვნური გაბაჟოფიერება წარმოადგენს. იგი არტკაცებს, აბე ჯანრთელ ქალს 60 წლამდე შეუძლია ბავშვის გაჩენა. მისი წყალობით, 58 წლის 45 ქალიდან 40-ს შეეძინა ბავშვი.

საფრანგეთშიც 15-ოდე ექიმი ფარულად ეწევა კლიმაქსის დროს 45-55 წლის ქალების ხელოვნურ პიობებში გაზაფიოფიერების პრაქტიკას. ერთ-ერთი მათგანია მეანო-გინეკოლოგი ჟორჟ ველტერი, რომელიც ორსულობის ზღვრულ ასაკად 55 წელს მიიჩნევს. მან მრავალ ქალს მისცა დედობის სინარული განცდის საშუალება.

სამწუხაროდ, ყოველთვის ყველაფერი ბუნდობლად როდი მიარდებდა. თუნდაც ფრანგი კრისტინ შარონის ამბავი ავიღოთ, რომელმაც 51 წლის ასაკში გადაწყვიტა მცირე ბავშვის გაჩენა. მშობიარობის დროს გადატანილი ტრავმის გამო მას დამბლა დაეცა. ბავშვის გაჩენა კრისტინის თავისზე 25 წლით უძირკოსი მეგობარი მამაკაცის დაფინებულმა მოთხოვნამ გადააწყვეტინა. კვერცხუჯრედი გარკვეული საზღაურის ფასად, თავისმა მეგობარმა მისცა. შვილივე ნახვერის შემდეგ კრისტინმა საკეისროთი იმშობიარა. შედეგი: ინვალიდობა, დაბლა: კრისტინის ნარბის თავის საქციელსა და სიგაქს უწოდებს მას.

პროფესორი ანტონიო ამ ამ-

ბავს ექიმის დაუდევრობით ხსნის, რომელსაც საგულდაგულოდ უნდა აწიონ-დაეწიონ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მხოლოდ ამის შემდეგ მოეხდინა ხელოვნური განაყოფიერება.

ექიმ ბელაიამალს აზრით კვერცხუჯრედის მიცემით გამოწვეული ორსულობა დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

ექიმ ველტერს მიანიჩა, რომ ანესთეზიის ტოქსემიისა და დიაბეტის სერიოზული საფრთხე გამოირიცხული არ არის ნაადრევი მშობიარობაც.

ადიკატ ანეის ფიშოს მეცნიერების მიღწევების დანერგვა და ექსპერიმენტების განხორციელება უშიავრესის — ბავშვის ბედის გაუთვალისწინებლად, საშიხელ დანაშაულად მიანიჩა. ექიმი ველტერი თვლის, რომ ზოგჯერ ბავშვმა შეიძლება 50 წლის მოზუც მშობიარობის გაცილებით უკეთ იგრძნოს თავი, ვიდრე ახალგაზრდა, 30 წლის ღლით და ტოქსიკოზამ მშობლებთან. ამიტომ საკითხისადმი სტალინისტური მიდგომა, ასაკის გამო შეილის ყოლა აუკრძალო ქალს, მისთვის მიუღებელია. ქნ ბელაიამალს კი აფიქრებს ბავშვებისადმი ასაკში შესული მშობლების დამოკიდებულება. 60 წლის ქალის ენერჯილობა და ახალგაზრდული შემართება მოჩვენებითად მიანიჩა და მიუღებლად თვლის ბავშვის ნაადრევი ობლობისათვის ვაწირვას. ამას გარდა, აფიქრებს ახალგაზრდა დონორის ბედ-იბაღაც, რომელიც ქირურგიული ჩარევის გამო საფრთხეში იგდებს ჯანმრთელობას.

40 წელს გადაცილებულ ქალებს ორჯერ მეტ საკეისრო ოპერაციას უკეთებენ უმეტესწილად — სიფთხილის გამო.

გვიან ასაკში ორსულობისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს 40 წლის ასაკში ორსულობა, რაც, თავის მხრივ, მრავალ პრობლემაში არის დაკავშირებული, მაგრამ ნელ-ნელა ჩვეულებრივი მოვლენა ხდება ორსულობა კლიმაქსის დროს, რომელიც ჯერ ექსპერიმენტების დონეზეა და უმარავ პრობლემათთან არის დაკავშირებული.

ქალები არ უშიინდებიან სირთულეებს და, ყველაფრის მიუხედავად, სიამოვნებით სარგებლობენ შესაძლებლობით, რომ ბუბიობის ასაკში დიდები გახდნენ.

ფრანგული მასალების მიხედვით მამადა ლია ბეჰანიშვილა

ბევრი ქალის ოცნება იყოს ისეთივე აღნაგ და მომხიბვლელი, როგორც პრინცესა დაიანა. მისი სილამაზის საიდუმლო მაღალი მარტვიია: დისციპლინა და შრომა.

— ძალიან ვიბეჩითებ და ყოველგაკეთებლში ორმაგად დაღვავიბობ.

— გაიმეორეთ, გეთაუვა, თქვენი ხმა ახლა გაცილებით უკეთ აფღერდა.

## ნიმდის ბატარბა

— სად დაიკარგა ის ჰაბუთი ყოველკვირას შენთან ყვავილები რომ მოჰქონდე? — ჰკითხა მამამ ქალიშვილს.

— უკვავილები გამყიდველ შერიროთ ცოლად.

## ღონისძიება

— რატომ გაიკლიათ დახლის იქით ამოღენა სარკე? — ჰკითხა მალაზიის მფლობელს ნაცნობმა.

— უშუტარმა ქალბებმა სსწორს რომ არ მოუტარონ, — მიუგო მან.

გერბანულიდან თარგმანა

შოთა ამირანაშვილი

# საქანდა



ზაირა ხორავა სახეცხელის შემდეგ „არდას“-ში ნაწლებშია



„სოფლის კაბორენება“. ზაირა ხორავა სახეცხელის რომში.

არა ადამიანები, რომლებიც შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლისას დიდარულუნებით, სიყვარულით ეცილებიან სასუკეარ საქმეს, მოკრძალებული წვლილი შეაქვთ საშემსრულებლო ხელოვნებაში, აღიარებას იმსახურებენ, მაგრამ ხდება ისიც, მალე უჩინარდებიან, ერთი მთავანია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო ეროვნული თეატრის მსახიობი ზაირა

„ღუბაი საოცარი ქალაქია. ყურადღებას არაყინ გაქცევს. რაც გინდა აკეთე, იყდე, გაყდე, მოკლდე, თავისუფლად იმოქმდე. პირველად თურქეთში წაყდე. მანამდე დოღარი თვალთ არ მენახა. რაღაც ზარა-ზურა წვიდე, ათვინში ჩაყდე. ავტობუსის მძღოლმა ბაზრამდე მიგიყვანა და დაგვტოვა. მან იქვე, მანქანების სადგომზე დააყენა ავტობუსი. თავდაპირველად მერიდებოდა, იქით-აქით ვიყურებოდი, მეუ თანადთან შევეჩვიე, ყველა თავის საზრუნავით იყო დაკავებული. საქმე საათითი აყწო. უცხოელებს, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ ტურისტ ქალებს, თურქი მამაკაცები ბუნებრივთ ხევიოდნენ. არ მომეწონა. აღლი სწრაფად აუღდე ყველაფერს. თავი ამაყად დაეჭვირე. ვცდილობდი არ შექეღაზა ქართველი ქალის ღირსება. რამდენიმე საათში ჩემი ზარა-ზურა გაყდე, შედარებით სარფიანად ვივაჭრე და მოგებაც დამრჩა. მას შემდეგ ვაჭრობის მად აღმებრა და სისტემატურად ვმოგზაურობ სხვადასხვა ქვეყანაში: ვიყავი არაბეთში, ჩინეთში, პოლონეთში,

ჩეხეთში. პოლონელები საქმიანი ხალხია, მათ მოხერხებულად უნდა მიუღდე, თორემ შეიძლება მოტყუდე. ყველაზე მეტად საბერძნეთმა დამაფიქრა, ქვეყანა მართლაც მშვენიერია, მაგრამ ხალხი გამჭვალავი თვალთ ვიყურებს. მეც ფრთხილად უნდა იყო, ანკესზე არ წამოყო. ამ „მოგზაურობებში“ საქმიო თანხა დაეაეროვე ბინა ვიყდე, კარგად ვიცვამ, საჭმელ-სასმელი არ მაკლია...

თუ დამიჯერებთ, გულანდლიად გეტყვით, სხეული ფულზე არასდროს გამიყიდა, ისე კი, რასაც ჩვენს ქალებზე ამბობენ, თუ ყველაფერი არა, მეტი წილი სიმართლა. მე რომ კაცი ვიყო, ცოლს მარტო არ გავუშვებდი სამოგზაუროდ“.

ჩემი რესპონდენტი ახალგაზრდა სიმპათიური მანდილოსანია, გაუთხოვარი. ადრე, ყმაწვილობის ჟამს, შეყვარებულმა უღალატა და თუ დაუფრებო, მას შემდეგ კაცების მიმართ გულგრილი გახდა, თუმცა თავისი ყოფილი შეყვარებულის მუხობლად იყიდა ბინა, თითქმის ყოველდღე ხვდება, მაგრამ სოღამს არ აძლევს, სჯის! მოგზაურობით,

ვიღვა-გაყდე თუ კმაყოფილია. ამჯერად ესაა მისი ცხოვრების საზრუნავი, მთავარი აზრი.

ღღეს საქართველოში უამრავი ტურისტული ფირმაა, რაც თავისთავად ცუდი არაა, მაგრამ ჩვენმა ტურიზმმა უფრო სავაჭრო ხასიათი მიიღო. საქართველოში ტურისტული საგზურებით ჯერჯერობით იმეფილად ჩამოდიან. ეს გასაკებია. ქვეყანას, სადაც შეჭირვებაა, ტურისტებისათვის ნაკლებად სცალია. ჩვენგან კი ტურისტული აჯოფები ყოველდღიურად მიემგზავნიან. არა დასაყენებლად, არამედ სავაჭროდ. მსოფლიო პრაქტიკაში ეს უკვე კარგად აპრობირებული საქმეა. მირითადად იგი ეკონომიკურად ღარიბ ქვეყნებშია განვითარებული და კარგ მოგებასაც იძლევა, ამიტომაც ესეჩვესა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ასეთი ტურიზმის ბუმი. ჩვენმა საზოგადოებამაც იგი მეტად მომგებიან საქმედ აქცია. ეს დაეტყო კიდევ ჩვენს ბაზრებს, სადაც კირითადად „ტურისტების“ მიერ ჩამოტანილი პროდუქტია, თუმცა ძვირფასსა და საუკეთესო ნაწარმს მინცდამინც ვერ შეხე-

გაქიყავა და ლიკავა



ზორავა, რომელმაც სამოც-სამოც-დაათამ წლებში თავისი ოსტატობით მაყურებელთა გულწრფელი მოწონება დაიმსახურა.

1957 წელს თბილისში მოსწავლევ-სახალგაზრდობის თვითმწივრების ფესტივალი გაიმართა. ყიუძის გადამწყვეტლებით ფესტივალის ლაურეატებ ვახლა ნიჭიერი სოხუმელი გოგონა ზაირა ხორავა.

კონკურსში გამარჯვებული ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მიიღეს, ნიკოლოზ ბოკუჩავას კლასში. ქალიშვილმა იმთავითვე მიაყრო პროფესორ-მასწავლებლების ყურადღება. მოსწრდა მისი დრამატული ფუნქციონების სიარალი.

კონსერვატორიის დასრულების შემდეგ ზაირას რჩეულთა ზვედრი ეყო. ოპერის თეატრში მიიწვიეს, რამაც მისი შემოქმედებითი წინსვლა განაპირობა.

ახალგაზრდა მომღერლის სასცენო მოღვაწეობა რთული პასტივობით დაიწყო: აიდა, ტოსკა, სანტუცა...

იმ ხანად ოპერის თეატრი საგანტროლოდ პეტერბურგს ეწვია. ზაირა მაყურებლის წინაშე სასტუკათო წარსდგა. მომღერლის პირველი და დიდი გამარჯვება იყო. დღრი-ფორმა ოდისეა დიმიტრიადიმ სპე-

ქტაკლის შემდეგ თქვა: ჩვენს თეატრს ზაირა ხორავას სახით დიდებული სოლისტი შემოქმატია.

ზაირა ტოსკას პარტიის პირველი ქართველი შემსრულებელია.

ზურაბ ანჯაფარიძე კავარდაღის პარტიას ასრულებდა და შიშობდნენ: ზაირა — ტოსკა როგორ შესძლებდა დიდი მომღერლის პარტინირობას. მაგრამ ეს შიში უსაფუძვლო გამოდგა.

აზერბაიჯანში გასტროლებზე „ტოსკაში“ ზაირა ხორავას ოსტატობას დიდი შეფასება მიესცეს, წერდნენ, რომ მომღერალი დავადაღლებულია ბრწყინვალე ხმითა და მუსიკალობით, რომ მისი ყოველი მუსიკალური ფრაზა აზრანია და ემოციურია.

საბოლოო ხელოვნების მიყვარულები ზაირამ მოხიბლა აიდას პარტიის დიდებულ შემსრულებლებთან.

ოპერის თეატრში ყოველი ახალი პარტია მისთვის როგორც შემსრულებლისთვის, ნამდვილი დღესასწაული გახდა. ზაირას სახით თეატრს ერთ-ერთი საინტერესო მომღერალი ჰყავდა, მაგრამ წლები მიდიოდა, უღმობებლად დრომ თავისი წაიღო, სათქმელი თქვა!



შვილიშვილებისათვის ხელი ჩაუ-

კინდა და ნელი ნაბიჯით გახასიათებულა.

სახეზე დრმა განცდა აღბეჭდია. ამ შეჭირვებულ დროში აბა ვის უღწიდა და მით უფრო მას, სიხუმში დაბადავლთა და აღზრდილს, მისმა ძირძველმა ოჯახმა, მშობლიურმა კერამ ომის ქარცეცხლში დიდი ჭირვარამი გადაიტანა და უსახს-ლკაროდ დაჩრწულა დიამამიშვილებს თბილისში, როგორც ლტოლნილებს უმაჰინძლა, შვიკელა, ხალხს უტყვამ: ერთი თხილას გული ცხრა მამე გაიყო და ზაირამ და მისმა ღირსულმა მეუღლემ მერამ ანთელავამ დიდი გული ყველა ახლობელს უწილადეს.

სცენაზე მხოლოდ ათიოდე წელი მიმდევარდა ათიოდე წელი ტკბობდა მაყურებლის ხანგრძლივი ტაშითა და შემახილებით. პარტინირობთან ერთად იდგა რამდის შუქით აელვარებულ ავანცენაზე, იდგა ბუნდნიერი, ყვავილებში ჩაბიძრული.

ოჯახის ტრავმით უფრო ძლიერი გამოდგა. ქმარშვილით გარემოსის შვილიშვილებიც წაშორებულნი და ყოველდღიური ჭკანით დატვირთულს განირაღდნებული სცენა გარდასულ ბუნდნიერ დღეთა ტბლი მოღონებდა, მინახულულ ექოდ შემორჩა.

**თეატრის ჯაშარიამ**

დებით. ასეთი საქონელი, როგორც ტურისტები ამბობენ, დიდ მოგებას არ იძლევა, რადგან იგი ადვილზეც ძვირად ფასობს.

— ვიცით, რომ ამგვარი საქმიანობა, ტურინში არაა, — მიუხედავად ტურისტული ფორმა „კვარცის“ პრეზიდენტი დიანა ცოტაძემ — ეს უფრო საეჭირო მოგზაურობაა, მაგრამ რას იზამ? ჩვენთან დღეს ამაზე უფროა მოთხოვნილება. კლიენტებთან პროდუმებიც ნაკლებად ვეპქს. ისინი დიდ კომფორტს არ მოითხოვენ, არც ქვეყნის ისტორიითა და ღირსსახიშნობებით ინტერესდებიან. მათთვის მთავარია, სასტუმროში ადგილები დაიჭირონ და ქალაქში მოკალათდნენ. ისე კი მერწყმუნთ, სავაჭრო, ეკრეიწოდებულნი „მოპატურება“ დიდ მოგებას აძლევენ ტურისტებს და მოგზაურობის ორგანიზატორებსაც არ რჩებიან ხელცარიელინი, მაგრამ იმდენი პრობლემა გვექმნება, ბეგრეკერ მიფიქრია, თავს დაავანებებ ამ საქმეში-მთქი. ყველა ფულს ითხოვს: პოლიციელი, საბაჟო, მესახვლეკი, მთავრობის მოხელე, რეკეტი და რა ვიცი, კიდევ ვინ. ისე კი, მე თუ მკითხავთ, ნორმალურ

ვითარებაში ტურინში ისეთი ბიზნესია, რომელსაც ჩვენი ქვეყნისათვის დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია, მაგრამ აჯერჯერობით ჩვენს სამაგის პირობებში არ არის. არა და უცხოელი კოლეგები, ვისაც მე შევხვედრივარ, საქართველოსა და საერთოდ კავკასიის მიმართ ამ მხრივ დიდ ინტერესს იჩენენ.

ჩვენთან „კვარცის“ ათასნაირი ხალხი მოდის. არიან ისეთებიც, ვინც უცხოეთში არაფერს იფიქრობს, უზრალად ჩვენთან ერთად ქალაქის სანახებში დასვენობს, ზოგი უკან აღარ მოგვეყვება. ზოგიც უკვე საკუთარი ავტომობილით ირჩევს დაბრუნებას. ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში ნახმარი ავტომობილები თითქმის კაპაკები ღირს. ამიტომაც მომრავლდა ჩვენი. თუ უცხოური მარკის ავტომობილები. იმის გამართლება, რასაც ზოგიერთი ჩვენი თანამემკვიდრე უცხოეთში ჩავის, შეუძლებელია. გაჭირვებამ ადამიანს შეიძლება ბევრი რამ დაათმობინოს, მაგრამ ღირსების დათმობა...

უცხოეთში, ევროპაში ჩვენიანი

თურმე ქურდობასაც არ ერიდება. ეს საკალალოა. მაღაზიებში საქონელს ასთვლადამოსხმული ზედამხედველები არა ჰყავს, მაგრამ ე.წ. „ტურისტებს“ ცოტა ეჭვის თვლით უყურებენ. ისე კი, ბევრმა ჩვენმა მიქალაქემ კარგა გვარიანად შეირცხვინა თავი. იქ რაღაც მაფიოზური დაჯგუფებების მსგავსი ორგანიზაციებიც კი შექმნეს და განსაკუთრებით სი-საკუთრებათა გამოირეგული, ალბათ ამიტომაც არის საკონსულოები აფიქრის დიდა საფოსტო რომ არ ვფიქრებენ. ამ მხრივ კიდევ სხვა პრობლემებიც არის, რომელიც ჩვენი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ფიფის პირდაპირი გამოძახილია და რისი აღნიშვნაც აუცილებელია, მაგრამ... უნდა ითქვას, ასეთი „მოპატურები“ თავისთავად გარკვეულ წილად ერის ღირსებასაც ღალავს.


მართალია, ძალიან ვიკვივრს, მაგრამ გასაჭირშიც უნდა შევიინარეოთ ღირსება. განსაკუთრებით კი — მანდლოსნებმა.

**შოთა მატარაშვილი**

# ფუსტი დიაგნოზი... უფასოდ



თბილისში ორი წელია მოქმედებს ბავშვთა სადიაგნოსტიკო-საკონსულტაციო ცენტრი, რომლის სტრუქტურაც განსხვავდება პოლიკლინიკური, დისპანსერული და სტაციონარული სამსახურებისაგან.



თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიებში პატარა პაციენტების ჯანმრთელობას გულმოდგინედ იკვლევენ ადგილობრივი ექიმები, რის შემდეგაც მათ კონსულტაციებს უტარებენ მოწვეული ცნობილი მედიკოსები. ცენტრის ბაზაზე არსებობს ქვეყნის ცენტრალური ბიოქიმიური ლაბორატორია, სადაც კვლევის იმდენად სრულყოფილი მეთოდებია დანერგული, რომ ხშირად სისხლს გამოსაკვლევად სტაციონარიდანაც აგზავნიან.

ექიმების ძალისხმევით თითქმის ყოველთვიურად ინერგება კვლევის ახალი მეთოდები. რამდენადაც ფართომასშტაბიანია კვლევა, იმდენად დიაგნოზიც უზუსტია.

დღეისათვის ბავშვთა სადიაგნოსტიკო-საკონსულტაციო ცენტრში დანერგულია ავტომატიზებული სადიაგნოსტიკო კომპლექსი.

აქ თანაშრომელთა ერთუნიანობითა და საქმის სიყვარულით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ პარალელურად მრავალი პრობლემაც დაგროვდა. განსხვავებული სპეციფიკის გამო ერთხელაც არ მიუღიათ ჰუმანიტარული დახმარება. თანამშრომლების ნემსის ყუნწში უხდებოდათ გამოზარა რეაქტივების, აპარატურის და სხვა საჭირო მასალის შეკაძენად.

ქვეყნის ახალი მეთოდების დასაწერად აუცილებელია თანამედროვე აღჭურვილობა, მაგრამ მალე ალბათ სიმწრით ნაშთიანი აპარატურის განთავსებაც გაძნელებდა ფართობის სიმცირის გამო. ცენტრი დროებით სანეიდსადგურის შენობის პირველ სართულზე ბინადრობს და არავინ უწყის, დროებითი სტუმრობა რამდენხანს გაგრძელდება. ბავშვთა სადიაგნოსტიკო-საკონსულტაციო ცენტრის ახალი შენობის მშენებლობა ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო შეჩერებულია. პროექტის და ცენტრის ხელშეწყობის გეგმების მიხედვით თუ ვიმს-

ჯვლებთ, ოდესმე ჩვენს ბავშვებს მართლაც ექნებათ მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სადიაგნოსტიკო-საკონსულტაციო დაწესებულება, მაგრამ ვერაინ გეტყვით, როდის...

ცენტრის შექმნის იდეა ეკუთვნის მთავარ ექიმს ქალბატონ ლალა გუჯაბიძეს, რომელმაც მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, მართლაც სამშვიდობილო საქმეს ჩაუყარა საფუძველი.

— აღამაანმა საქმით უნდა გაამართლოს თავისი არსებობა ამქვეყნად როცა რაიმეს სიყვარულით და მონდობებით აკეთებ, შედეგი აუცილებლად თვალსაჩინოა, — ამბობს ქალბატონი ლალი, — ჩვენგან პატარა პაციენტები საიმედოდ გამოკვლეული, დაკვალიანებული და სთბობით აღსავსენი მიდიან.

ცენტრში კონსულტანტებად მიწვეულები ჰყავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები: მანანა ფეხნია, გიორგი ჩახუნაშვილი, ეთერ ლორთქიფანიძე, ირაკლი ციციშვილი. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები: თამაზ მირიანაშვილი, ვლადიმერ ვალაბუევი, ანა გიგელია, ვენერა სეფიაშვილი, მაია კაკაურიძე.

კვლევებიც და კონსულტაციებიც უფასოა. მომავალში ფიქრობენ ფსიხიანი განყოფილების გახსნას უფროსებისათვის, რათა შემოსული თანხა ისევ ბავშვებს მოხმარდეს.

და ბოლოს, ცენტრის თანამშრომელთა სახელით თხოვნით მივმართეთ ყველა ასოციაციასა და ფირმას: რითაც შეიძლება დაეხმარეთ ბავშვთა სადიაგნოსტიკო-საკონსულტაციო ცენტრს, რომელიც დღემდე, შეიძლება ითქვას, ქველმოქმედებით არსებობს. გვერწმუნეთ, თქვენს მიერ გაღებული თანხა ისევ თქვენი შვილებისა და შვილიშვილების ჯანმრთელობას მოხმარდება.

● ცენტრის ექიმა ჭაჭუი  
● პატარა პაციენტები ცენტრის კაბინეტ-ლაბორატორიებში

# ჭადრაკის „ღანაბარები“ და შენაძენი

როგორ თამაშობს დღეისათვის ნონა გაფრინდაშვილი? კვლავინდებურად ძალიან კარგად და საერაშორისო ტურნირებშიც მიიღებს მონაწილეობას. ამასთან ნონამ გაითვალისწინა ჭადრაკის მკვეთრი გაახალგაზრდავება და მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო: ამიერიდან აღარ ითამაშოს მსოფლიო პირველობასთან დაკავშირებულ ტურნირებში.


ამას განსაკუთრებული, ახალგაზრდული ენერჯია სჭირდება.

როგორ თამაშობს დღეისათვის ნანა ალექსანდრია? ძალიან კარგად, მაგრამ ნონაზე ადრე მანაც ამჯობინა არ მიიღოს მონაწილეობა იმ ტურნირებში, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები უნდა შეარჩიონ, მიზეზი იგივეა: ახლა ძალიან ძნელია სრულიად ახალგაზრდა დიდოსტატებისათვის კონკურენციის გაწყება.

ერთი სიტყვით, ქართული საჭადრაკო სკოლა, რომელიც კვლავინდებურად დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, მაინც მძიმე დანაკლისს განიცდის. ვინ მიელოდა, რომ ნანა იოსელიანი ასეთი ანგარიშით წააგებდა მატჩს მსოფლიო პირველობაზე?! ახლა ნანას საკმაო დრო აღსჭირდება, სანამ ძალემა აღიდგენს და კვლავინდებურად საჭადრაკო ავანსენაზე გამოჩნდება.

ახლა კი სხვა ორი დანაკარგის შესახებ: ჩვენი ძალზე მნიშვნელოვანია ოლიმპიური ჩემპიონის წოდების შენარჩუნება, რაც ესოდენ ბრწყინვალედ მოვიპოვეთ მაინაში 1992 წელს. რა თქმა უნდა, მაშინვე მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს გუნდი თანდათან გაახალგაზრდადებოდა. ნაკრებში თამაშის უპირველესი გახდიატბეტი, მაია ჩიზურდანიძესთან ერთად ქეთევან არაშიაძე და ქეთევან კახიანი იყვნენ. ნურას უკაცრავად!

კახიანი გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად და ახლა სალონიკის საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ამ ქვეყნის ნაკრების ლიდერი იქნება. გათხოვდა არაშიაძეც, ოღონდ ინგლისში და იმავე სალონიკში უკვე ინგლისის ნაკრების ლიდერი იქნება.



მაია ლომინიშვილი

ერთი სიტყვით, ქართული ჭადრაკი ახალ-ახალი პრობლემების წინაშე დგას, მაგრამ იმედს არავინ კარგავს. მდგომარეობა ჩვენში ნიჭიერმა ახალგაზრდობამ უნდა გამოასწოროს.

თელაველი ანა მათნაძე (დაიბადა 1983 წლის 20 თებერვალს) შარშან მსოფლიო ჩემპიონი გახდა შეჯიბრებაში, რომელიც ყველაზე ნორჩი მოჭადრაკეებისათვის ტარდება. გაიმარჯვა მეტად დამაჯერებლად და დამტკიცა, რომ ქართველ გოგონებს „ძალა შესწევთ ჭიდილისა“. დიდი სიახუნებაა ამ გოგონა დინჯი გოგონას თამაშისათვის თვალყურის დევნა — როგორ ფიქრობს, როგორ გეგმავს ადგენს, როგორ უტყვის და იცავს თავს, რაც არ უნდა ვთქვათ, მსოფლიო ჩემპიონატები სხვადასხვა ას-

აკის გოგონებისათვის საუკეთესო სკოლაა. ახლა ანა უკვე 12 წლიანეშია ითამაშებს, შემდეგ უფრო მაღალ „კატეგორიაში“ და ჩვენ ვეჭვავს, რომ იგი ახალ წარმატებებს მიაღწევს.

თუ ანა მათნაძემ თავი გამოიჩინა ყველაზე უმცროსთა შორის, ნინო ზურციცი (დაიბადა 1975 წლის 1 იანვარს) მსოფლიო ჩემპიონი გახდა ყველაზე უფრო პრესტიჟულ ახალგაზრდულ შეჯიბრებაში, 20 წლიანთა შორის. ეს იმდენად ძლიერი და ავტორიტეტული ასპარეზობაა, რომ ფიდემ (საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია) გადაწყვეტილება მიიღო გამარჯვებულისათვის დიდოსტატის წოდება მიენიჭებინა. ახლა ნინო საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი მოჭადრაკეა. ოლიმპიურ ნაკრებში გამოსვლის ერთ-ერთი კანდიდატი. მისი მწვერთელი (და ბიძა) ელგუჯა ფხაკაძე, რომელიც გოგონას ყველა ტურნირში თან დაყვება, ფიქრობს, რომ ნინოს განსაკუთრებული, „გაფრინდაშვილისებური“ შეუპოვრობა აქვს და უახლოეს ხანებში უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევს.

შეიმძებოდა ლაპარაკი კიდევ რამდენიმე ნიჭიერ გოგონაზე, მაგრამ ჩვენ დღეს მხოლოდ — მაია ლომინიშვილს, (დაბ. 1977 წლის 11 ნოემბერს) წარმოვიდგინოთ. აი ჭადრაკის ნამდვილი ფანატიკოსი, რა თქმა უნდა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. იგი უკვე იყო თბილისის ჩემპიონი ქალთა (1) შორის, პირველი-მეორე ადგილზე გაიყო საქართველოს ქალთა ჩემპიონატში, უკვე მოასწრო თამაშა მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში ისევე და ისევე ქალთა შორის. ახლა გოგონათა შორის წარმატებებს არ იტყვიან? მაია ევროპის ჩემპიონი გახდა, გოგონათა 1993 წლის პირველობაზე (16 წლიანთა შორის) მესამე ადგილზე გამოვიდა, ითამაშა შევეციაში, ნორვეგიაში, პოლანდიაში, ავსტრიაში, ინგლისში, გერმანიაში... მაიამ, რომელსაც შესანიშნავი ახალგაზრდა მწვერთელი გიორგი მაჭარაშვილი აქცეადინებს, წლებულსაც უნდა ვაგვახაროს.

# ჩემო თბილისა, გოგო, გონა!



ცეკვა მისი სულის განუყოფელი ნაწილია, დაუოკებელი სწრაფვა მშვენიერებისაკენ, ჭეშმარიტი ხელფრთხილია.

„ამჟვეწნად რომ არ გვარსება, მე შთაგებურადი სულს. მე მოვიგონებდი, მე შეგეძინდი, მევე შეგასრულებდი, მე თავად დაგეწერდი ლექსს. შენ საოცრება ხარ. მე ვგრძობო შენს სუნთქვას. შენზე ფიქრი მითენებს დილას ღამაზე. როცა „შენი ვარ“, მაშინ უფრო მშვენიერი ვარ, როცა შეთან ვარ და მუსიკა მეფერება, კაბის კალთის შრიალი მესმის, მკლავებს კი საღდაც სამოთხეში მიფეყვარ...“

ასე მგონია, მე და შენ ერთად დაიბადავ. შენთან ყოფნა არასდროს მდლის, პირიქით, შიშითა და თრთოლ-

ვით შევეუბრებ შენთვის განკუთვნილ წუთებს და რომ იცოდე, რა მალე გარბიან ისინი! თუმცა ეს წუთები ჩემთვის ზომ უსასრულობაა, მარადიული უსასრულობა... თქვა პატარა ქალბატონმა თავის დიდ გატაცებაზე ცეკვაზე. უფრო ხატუნად, უფრო შთაბეჭდავად მწვლია იტიქვას.

თეკლა ჯანელიძე — გულისყვრი მივაღვენით ამ სახელს. თბილისის მე-15 საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე სკოლაშიც გამორჩეულია. უყვარს მუსიკა, სიმღერა, ინგლისური, მშვენიერი ანაკლამატორია. იტაცებს ფეხბურთი, ყოველანაირად ნინო ანანიასვილს.

და რაც მთავარია, თეკლა ანსამბლ „მერანის“ წამყვანი სოლისტი და ერთ-ერთი გამორჩეული მოცეკვავეა. ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, ხუთი წლის ცეროდენა გოგონა დედამ პირველად მოსწავლეთა სასახლეში ცეკვის ასარჩევ კონკურსზე რომ მიიყვანა.

სასახლის ფოიეში ასობით ბავშვი ირეოდა. შემოსასვლელი კარიდან ახივანი, ათლეტური აღნაგობის შუაზნის მამაკაცი შემოვიდა. თვალი მოავლო წუთით გარინდულ პატარებს. თითქოს პროფესიულმა ადამომ უკარნახაო, თეკლას მიუახლოვდა, ფრთხილად გადაუწია თხელი ქურთუკი, მხრებში გაასწორა, სიყვარულით ვამთბარი თვალებით შეხედა და ბავშვის ანიტეულ მხერგას რომ წააწყდა, დაიხარა და ყურში წასწურულა: — შენ კარგი მოცეკვავე გამიხვალ, ჩემო პატარავ...

ეს რეზო მასწავლებელი იყო — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბატონი რევაზ ჭანიშვილი. სამუდამოდ ჩარჩა თეკლას მესსიერებას მისი სიტყვები. ავიწერს კიდევ თავის გულბურჟვილო, ბავშვურ ჩანახატებში: „ცეკვის გარეშე სიტოცხლე არ შემიძლია, თქვენი გარეშეც არ შეიძლება, ძალიან გამიჭირდება...“ სკოლიდან ფრენით მივდივარ... იქ ჩემი სამყაროა, ჩემი სულის მესაიდუმლე მუსიკა, საღამაზე, მშვენიერება და ჩემი რეზო მასწავლებელია...“

და ცეკვაზე გატაცებით, თავდავიწყებით, ცეკვავეს „აჭარულს“, „მთიულურს“, „ალვანურს“, „ლორიკულს“, „მუხამაზს“... ცეკვავეს და სული ნანაობს, ტრანი კენარობს, ო, რა ღამაზად იღერებს ყელს ჯვირანივით, მკლავები კი ხან ლერწამით ირხვეიან, ხანაც მართლებრი მოძრაობით საოცარ ჰარმონიას ქმნიან და მშვენიერებას წარმოაჩენენ. სცენაზე თითქოს მზის ნარინჯისფერი ათინით იღვრება და სულსა და გულს საამოდ ეფინება.

სწორედ ასეთ „ცდუნებას“ ვეღარ გაუმლო სლიჩენკომ და ბოშურ ტანსაცმელში გამოსწობლი თეკლასთან ერთად თვითონაც იცეკვა.

არც ამერიკელ იმპრესარიოს გამორჩენია თვალთახედვიდან თეკლას ტალანტი, როცა რუსთაველის თეატრში, ამერიკაში გამგზავრების წინ, „მერანმა“ სარგუნებელი კონცერტი გამართა.

„შენ მთელი არსებით ცეკვავე. ცეკვავეს შენი თვალი, წარბები და წამწამები, ცხვირის ნესტოები და თმის ღერიც კი. შენ უკვე მთელ საქართველოს ეკუთვინი, მაღლობა შენს მშობლებს და შენს პედაგოგს. პირველ რიგში კი მაღლობა შენ, ჩემო პატარავ!“ — ასე მიმართა თეკლას რეჟისორმა როსტომ ყვინამ სახალწლო შოუ კონცერტში საუკეთესო მოცეკვავე გოგონას პრიზის გადაცემისას.

თეკლას შესანიშნავ პარტნიორობას უწევენ გოგა ჭოლაძე, ჯიმი მახადაშვილი, ლაშა მაღრაძე და საერთოდ „მერანის“ ყველა წევრი.

ასე ხელფრთხილად აღვლილებმა, ცერებზე შემოიარეს

სახელები  
სახელი  
სახელი





მსოფლიოს მრავალი კუთხე, ორჯერ იმოგზაურეს აშშ-ში, მონაწილეობდნენ საფრანგეთის მსოფლიო ფესტივალზე, ქართული კულტურის დეკადაზე, იალტაში, ოთხჯერ ესტუმრნენ მეზობელ თურქეთს, იყვნენ გერმანიაში. ამავე ანსამბლში ცეკვავს თეკლას უმცროსი ძმა — ბაჩანა. მისი პირველი წარმატებებიც იმდენად შთაბეჭდვითაა, რომ ეტკობა, ტოლს არ დაუდებს თავის დაიკოს ჯანელიძეების კოლექტივას კიდევ ერთი მეტად საპატიო ჯილდო მიემართა — ილიკო სუხიშვილის სახელობის პრიზი. კუნსურსი ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის საიუბილეო 50-ე წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა კონკურსის ლაურეატობა და ოქროსა და ვერცხლის მედალი წილად ხვდა ჩვენს პატარა ცეკვის ჯაღღაქარს — თეკლა ჯანელიძეს. თუმცა თეკლას ცხოვრებაში იყო უფრო სამახსოვრო დღეც. ამერიკის საგანგებო მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ჯილდობინის დიდი საკონცერტო დარბაზში

სოლო კონცერტი გამართეს. კონცერტზე თეკლა რაიმე ნიმი სოლოს ასრულებდა. ის-ის იყო ცეკვა „აჭარული“ დამთავრდა, დარბაზი ტაშითა და მზურგაღვე ოვაციებით აჯილდოებდა მის ბრწყინვალე შემსრულებლებს. თეკლამ მაყურებელს მადლობა გადაუხადა და კულისებიშაქან წავიდა...

— ჩემო თვალმახარა გოგოვ, ყოჩაღ! — უთხრა და გულში ჩაიკარა. დიდი და პატარა მოცეკვავე ფოტორეპორტიორების ყურადღების ცენტრში მოექცა.

ის ქართული სცენის მშენება, ცეკვის ნამდვილი ჯაღღაქარა, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ქალბატონი ნინო რამიშვილი იყო.


პატარა მოცეკვავისათვის ეს ყველაზე დიდი ჯილდო გახლდათ. არადა, ჯერ ყველაფერი წინ არის!

**წახუ კახაიშვილი**

**ქსოვა**



**ორბორიანი ჯაკეტი**



ზომა 48. ნაცრისფერი შალის მსხვილი ნართი 600 გრ, შავი შალის მსხვილი ნართი 200 გრ.

ჩხირები № 3. ქსოვის სახე: რეზინი 2X2, წინდური შიგ ჩაქსოვილი შავი რომბებში.

ნახტი მოქსოვეთ სქემის მიხედვით. ყოველი რომბისათვის ცალ-ცალკე შეაბით შავი ძაფის მოგრძო ნაწყვეტები; გორაკებს არ გიჩრეთ, აკეპურდებთ.

ჟაკეტის სიგრძეა 65 სმ. ჟაკეტის იქსოვება გვერდითი ნაკერების გარეშე, ზურგი და წინა კალთები გაერთიანებულია. თემოს სალტესათვის შავი ძაფით აკრთვეთ 180 თვალი და მოქსოვეთ 10 სმ სიმაღლის რეზინი 2X2 (2 წაღმა, 2 უკუღმა). რეზინის შემდეგ გადადით მორთადა ნახსენებ, რომელიც ერთდროულად ნაცრისფერი და შავი ძაფით იქსოვება. ნაცრისფერ ფონზე კეთდება შავი რომბები (ქსოვეთ სქემის მიხედვით). ბოლოდან 42-ე სმ-ზე ილ-

ღებთან ორივე ნაპირიდან 40-40 თვალი გამოყავით წინა კალთებისათვის, გადაიტანეთ დამოსარე ჩხირებზე ან ძაფზე აასხით და დანარჩენი 100 თვალი გააგრძელებთ ზურგის ქსოვა პირდაპირ (ილიის ჭრილი არ კეთდება). ბოლოდან 65-ე სმ-ზე ერთბაშად დახურეთ თვლები.

წინა კალთები მოქსოვეთ ცალ-ცალკე. ილიის გასწვრივ, საყვლოთს თამასისავე დაიწვეთ თვლების თანდათანობით კლავ მხრის ხაზამდე, უკელით დაახლოებით 8 თვალი. ბოლოდან 65-ე სმ-ზე ერთბაშად დახურეთ თვლები, მხრები გაკერეთ.

სახელო. სახელოსათვის ილიის გასწვრივ ნაწიბურზე ამოკრთეთ თვლები და მეორე რიგზე უმატეთ ყოველი მეხამე თვალი. მიიღებთ დაახლოებით 100 თვალს. სახელოს ორივე ნაპირზე თანდათანობით თანაბარზომიერად უკელით თითო თვალი ისე, რომ მანუეტამდე დაგრჩეთ 50 თვალი. მანუეტისათვის კიდევ მოაკელით 10

და 40 თვალით მოქსოვეთ რეზინი 2X2. მანუეტის, თემოს სალტე და საყვლოთ თამასით იქსოვება, შავი ძაფით.

საყელი. წინა კალთების შიდა ნაწიბურებზე და კისრის ხაზზე ამოკრთეთ თვლები და მეორე რიგზე უმატეთ ყოველი მეხამე თვალი. დაახლოებით 150 თვალს მიიღებთ. მოქსოვეთ 12 სმ სიგანის ორმაგად გადაკეცილი თამას რეზინით 2X2 (ე. ი. თამასა უნდა მოქსოვით 24 სმ სიგანის). ბოლოს თვლები ერთბაშად დახურეთ. თამასის მარცხენა მხარეზე სამ მწკრივად დააატენით ორ-ორი (სულ 6) პირიზონტალური დილიკორი. დილიკორისათვის 4 თვალი დახურეთ. მიიღებთ ე. წ. შალისებურ საყველოს, რომელიც ჩაცმისას ყველათ ფარულად გადაიკეცება. ჟაკეტს უხდება საშუალო ზომის ტყავგადაკრული დილები.

ნაქსოვი დაუთოვეთ (რეზინებს არ შეეხეთ) და შეკერეთ. **შატაგრა თითრაული**



# კალინარია



# კალინარია

## პარტოფილის ხინკალი

მასალა ცომისათვის: 850-400 გრამი ფქვილი, 1 კვერცხი, (1 ჭიქა და მეთოხნელი) ცივი წყალი.

მასალა ფარშისათვის: 1 კილოგრამი ფული, 4-5 სუფრის კოვზი ზეთი, 100 გრამი წვრილად დაჭრილი ხახვი, რამდენიმე ღერი ძალიან წვრილად დაჭრილი კამა (1 სუფრის კოვზი), შავი პილპილი და მარილი გემოვნებით.

კვერცხი, მცირეოდენი მარილი (დანის წვერით) და წყალი მოათავსეთ თასზე, ათქვეფეთ კარგად, დააყარეთ ფქვილი და მოწილეთ სახინკლე ცომი (მაგარი). ცომი, შემდეგ გადმოიტანეთ ფქვილმოსყრილ ფიცარზე, გააბრტყელეთ თანაბარ სისქით და დაჭერით თხელი ჩაის ჭიქით. თითოეულ ცომზე მოათავსეთ ერთი ჩაის კოვზი კარტოფილი ფარში, ცომს მოუხვეფეთ თავი და ხინკლები ჩაყარეთ მძლურად წყალში ისე, რომ ყოველ ხინკალს ჰქონდეს წყალი თავისუფალი „ცურავის“ საშუალება.

კარტოფილის ფარშისათვის გათლილი, გარეცხილი კარტოფილი მოხარშეთ. ცხელ-ცხელი გაატარეთ ხორცსავე მანქანაში, შეაწავთ მოშუშული ხახვი, პილპილი და მარილი.

## ბარდის (ბაროსის) სუპი

მასალა: 500 გრამი ბარდა, 100 გრამი ზეთი, 1 სუფრის კოვზი პურის ფქვილი, 1-2 თავი ხახვი, კამა, შავი პილპილი.

გარეცხეთ ბარდა, დაახით ცივი წყალი და ხარშეთ მანამ, ვიდრე სულ არ ჩაიშლება. შემდეგ გახეეთ საწურავეში, დაშობეთ წვრილად დაჭრილი, ზეთში მოშუშული ხახვი (ხახვი კარგად რომ მოშუშება, დაშობეთ 1 სუფრის კოვზი ფქვილი და 1-2 წუთი ერთად მოშუშეთ. შემდეგ გახსით ცივ წყალში), წამოადღუდეთ 8-4 წუთი და უფავთ კამა, მარილი, პილპილი.

ბარდის სუბთან ძალიან გემრიელია ზეთში შემწვარი თეთრი პური ყველით „გრენჯი“.

დაჭერით ქერქმეცლოლი პური პატარა ოთხკუთხედ ნაჭრებად. მოათავსეთ ზეთის ტაფაზე, მოატრქვიეთ ზემოდან 100 გრამი გახსილი ყველი და შედგით ცომი ზით ცხელ აერლემულში ვიდრე უგოვად შეებარებოდეს.

## ძალიან მარტივი ნანცხვარი

მასალა: 500 გრამი ფქვილი, 2 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, 2 ჭიქა მარწონი, 8-4 სუფრის კოვზი ზეთი, 1 ჩაის კოვზი სოდა, 4 სუფრის კოვზი ძმარი, მცირეოდენი ვანილი, ან თქვენთვის სასურველი სხვა რომელიმე არომატული პროდუქტი. მარწონი, ზეთი, შაქარი და ვანილი მოათავსეთ მოხინჯარბულ თასზე, თქვეფეთ ძალიან კარგად, დაუმატეთ თქვარი გახსნილი სოდა, აურიეთ, დააყარეთ ფქვილი მთლიანად და მოწილეთ ცომი, გადმოიტანეთ ცხიწამხილად და ფქვილმოსყრილი საცხობზე, ცომი გააბრტყელეთ 5 სანტიმეტრის სისქეზე და

შედგით ცხელ ლუმენში 10-15 წუთის შემდეგ შეამოწმეთ გამოსცხა თუ არა და დაჭერით ცხელი ნამცხვარი სასურველ ფორმებად.

## პომეგრანი მოშუშარბადად და უშუშარბად

ყველანაირი ჩირი რაც კი მოგეპოვებათ გარეცხეთ, მოათავსეთ თერმოსში, დაახით მძლურად წყალი და 8-10 საათის შემდეგ მიიღებთ არომატულ კომპოტს.

## შაბრანინ ნანცხვარი

მასალა: 1 ჭიქა შაქრის ფხვნილი, ჭიქანახევარი რძე, 100 გრამი შარგარანი, ერთნახევარი ჩაის კოვზი სოდა, ვანილი, 2 ჩაის ჭიქა ფქვილი.

რძეში ჩაყარეთ შაქარი, ნახევარსაზე გააცხელეთ, გააღვდეთ შაქარი, შემდეგ რძე გააცხეთ, გაციეხულ რძეში მოათავსეთ შარგარანი, სოდა, ვანილი, ფქვილი და კარგად აურიეთ, ცომი გადმოიტანეთ ფქვილმოსყრილ ფიცარზე, გააბრტყელეთ 5 სმ სისქემდე, მოაყარეთ შაქრის ფხვნილი, დაჭერით თქვენთვის სასურველ ფორმებზე, მოათავსეთ საცხობ ფურცელზე და აცხეთ 10-12 წუთის განმავლობაში საშუალო სიმწვარავის მქონე ლუმენში. ნამცხვარი უნდა იყოს თეთრი, ამიტომ მიაქციეთ ყურადღება არ დაიბრაწოს.

## № 6-7-ში გამოქვეყნებული კროსმორდის პასუხები:

თარგზულად: 8. ფეროკოპია. 10. ანტიკვარი. 11. აპროპაცია. 18. იურა. 15. კარნე. 16. კომიქსი. 19. ატმე. 20. ტაბა. 22. ტაქსა. 23. მიკაბაძე. 24. ფენომენი. 25. რამბა. 26. ამური. 28. ეპოქა. 30. ლატანია. 32. კვარი. 33. ისაყა. 35. მახტინი. 39. კაშილონი. 40. ტერტორია.

შეშუბად: 1. უფალი. 2. ორატორია. 3. ღირა. 4. პანოს. 5. ვამა. 6. ვილა. 7. შამარა. 8. კიორე. 12. ბუი. 14. ხსენტეწი. 15. კვარტორენტო. 17. ოსტერია. 18. სტაფა. 19. არმია. 21. არაყა. 27. უსტაბაში. 28. ოლენდარი. 31. აული. 32. კოშკი. 34. ალთაი. 35. მაილი. 36. ტრიო. 37. სტაი. 38. ილია.



რედაქციის მისამართი: 380096, ქ. თბილისი, შ. კობახიძის ქ. № 14.

ტელეფონები: რედაქციის: 99-98-71; პ. შუ. მლიინი: 99-71-68; ცნობებისათვის: 98-95-79.

მასალები გადგეა ასაწვობად 18.10.94 წ. ყურალაი შექმნილია დასამუშავად 8.09.95 წ. ქალაქის ზომა 60x90/ს. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, ტირაჟი 2 000. შუკ. 1055.



ურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია უდრმეს მადლობას უხდის თბილისის სააქციო საზოგადოებას კევს გენერალურ ღირებულების ბატონ დავით სილაგავას უქალღმობის გამო შეფერხებული ურნალის გამოსახველად ფულადი დახმარებისა და თანადგომისათვის.

იმედს ვიტოვებთ, რომ არც ხევა მსხვილ საწარმოთა, გაერთიანებათა, კორპორაციათა ხელმძღვანელებში, ყვრთ პირები დარჩებიან გულგრილნი საქართველოს ქალთა საუკარელო ურნალის გაჭირვების მიმართ და ბ-ნ დავითის მაგალითისამებრ, შეძლებისდა-

გვარად გავეყვეენ მატერიალურ დახმარებას, რათა არ სეზობა არ შეწყვიტოს 70 წლის წინ საძირკველჩაყრილმა ურნალმა.

დახმარება შეიძლება გადმოგზავნოს შემდეგ ანგარიშზე:

კუპონებში 00360903 მფო 521017

მანეთებში 213070017

დოლარებში — 201.070817

სააქციო კომერციული ბანკი „საქართველოს ბანკი“  
გამოცემულია, „სამშობლო“. მიზნობრივად ურნალ „საქართველოს ქალისათვის“.

სსსპრგმგპლრ რჩეობები

● დიდი ხნის უხმარი კაბა ან კოსტიუმი გაწმინდეთ ნიშადურის სპირტის სუსტ ხსნარში (1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე) დასველებული ჯაგრისით. ამით არა მარტო მტკვნი ჩამოაშორებთ, ფერებსაც გააცოცხლებთ. შემდეგ გაუთოვეთ — ჩასაცმელი ახალს დაემსგავსება.

● გაქონილი კოსტიუმი გაწმინდეთ უხეზი ჯაგრისით, რომელიც უნდა დასველოთ ნიშადურის სპირტის სუსტ ხსნარში (რამდენიმე წვეთი 1 სუფრის კოვზ წყალზე). გაწმინდეთ ხაის მიმართულეებით. როცა გაშრება — ტენიანი ნაჭრის ქვეშ დაუთოვეთ.

● პალტოს ან კოსტიუმის საყვლოს გაქონილი ადგილები გაწმინდეთ ბამბის ტომპონით, რომელიც უნდა დასველდეს 5 გ სუფრის მარილისა და 10%-იანი 25 გ ნიშადურის სპირტის ხსნარში. ცხიმიანი ადგილები ვასუფთავებთ, თუ შალის ქსოვილს გაწმინდეთ ძმრის ხსნარში დასველებული ჯაგრისით.

● გაქონილი შარვლები ასე შეიძლება მოაწესრიგოთ: დასველეთ ადგილზე დაადეთ ტენიანი ტილოს ქსოვილი და ასე დატოვეთ ერთი დღე-ღამე. შემდეგ უთითო დაუთოვეთ.

● შარვალზე ზოლი დიდხანს გაჩერდება, თუ ჯერ გააუთოებთ ძმრის სუსტ ხსნარში დასველებული ნაჭრით, შემდეგ კი, როცა შარვალი მთლიანად გაშრება, ხელმეორედ გააღატარეთ უთი — ამჯერად სველი ტენიანი ქაღალდის დახმარებით.

● ზამბის ნაკეთობა გაწმინდეთ წყლისა და ნიშადურის სპირტის ნაყენი (1 სუფრის კოვზი 5 სუფრის კოვზ წყალზე). გაწმინდის შემდეგ ნაკეთობა ვაზეხეთ წყალში გახსნილი ძმრის (1 ჩაის კოვზი 1 ლ წყალზე) ხსნარში დასველებული ტომპონით, შემდეგ კი მშრალი ნაჭრით და გააშრეთ ჰაერზე.

● ძალზე დასველი ზამბის ქსოვილს წყენდენ ჯაგრისით, რომე-

ლიც უნდა დასველდეს თბილი საბნაინი წყლისა და ნიშადურის სპირტის (1 სუფრის კოვზი 1 ლ წყალზე) ხსნარში.

● ცხვრის ქურთუკის („დუბლიონკა“) გაწმინდა შეიძლება საპნის ხსნარში ჩამატებული ნიშადურის სპირტით: ნაჭერი, რომლითაც დასველი ადგილები გაწმინდო, ხშირად უნდა ცვლით. პირველი დამუშავების შემდეგ პროცედურა გაიმეორეთ გლიცერინის წყლისა და ხსნარით. ნიშადურის სპირტისა და ბორაკის ნარევის (20 გ გლიცერინი, 20 გ ნიშადურის სპირტი და 5 გ ბორაკი, 0,5 ლ წყალზე) დახმარებით. როცა ქურთუკი გაშრება — იგი ხელში კარგად მოთვლით, ვიდრე ტყავი არ დარბილდება.

● პალტოს, ლაბადის ან კოსტიუმის დასველილი საყვლოს გასაწმინდად მოამზადეთ ხსნარი 1 წილი ნიშადურის სპირტისა და 3 წილი წყლისაგან. საყვლოს ქვეშ აძოვდეთ სუფთა ნაჭერი, მეორე ნაჭრით კი მომზადებული ხსნარის ძეშველით გაწმინდეთ საყვლო, ქვეშ მოაკვიტეთ. შემდეგ საყვლო კარგად გაწმინდეთ სუფთა ტენიანი ნაჭრით და გააშრარავეთ.

● ბეწვეული იქმინდება ბენზინში (სადღე უნდა ჩაუმატოთ მცირე რაოდენობის ნებისმიერი სინთეტიკური სარეცხი ფხენილი) დასველებული ჯაგრისით.

● თითონ ბეწვი კარგად იქმინდება სახამებლით ან მანისის ბურღულით. თუ ბეწვი ძალიან დასვერილია, მაშინ მას წყენდენ ბენზინში არეული სახამებლით. სქელ ფფას ფრთხილად შეუზღვენ ბეწვის საწინარმდეგო მიმართულეებით. დასველილი ფხენილი ჩამოფერებთ. შეიძლება დატვირდეთ 2-3 ასეტი დამწვევება.

● დასველი თეთრი ცხვრის ქურთუკს შეიძლება სითეთრ დაუბრუნოთ სახამებლის დახმარებით. ბეწვს აყრან სახამებელს და ზედ პულვერიზატორით კარგად აფრქვევენ უნივერსალური გასარეცხი ფხენილის თბილ ხსნარს. მიღებულ

კომისებრ მასას შეაზღვენ ხელით და როცა გაშრება, წყენდენ ჯაგრისით.

● თეთრი ცხვრის ტყავის ნაკეთობანი შეიძლება ვაიფრენოს აგრეთვე რძისა და ნიშადურის სპირტის ნარევი (1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა რძეზე).

● ბეწვის ბზენინარების აღსადგენად კაკლის გული დანახეთ, ჩადეთ 2-3 ფენიან მარლის ტორაპკში და ამ ტომპონით გაწმინდეთ ბეწვის მიმართულეებით. მას შემდეგ, რაც ნიგვზის ზეთი შეიწოვება, ბეწვი მიიღებს ლამაზ, მყარ ბზენინარებას. იგივე მიზნით ბეწვის გაწმინდა შეიძლება ძმრის ესენციამ დასველებული ნაჭრით (ფრთხილად გაწმინდეთ რუხინის ხსოლთამანებით) — იგი უფრო ბზენინარე გახდება.

● ხელოვნური ბეწვის გასაწმინდად გამოიყენეთ ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილის გასარეცხად გამოიზნული სარეცხი საშუალებანი. 2-3 სუფრის კოვზი ფხენილი გახსენით 1 ლ წყალში, ააყფეთ და წაუსეთ იგი ჯაგრისით ბეწვის მიმართულეებით. ქაფის ნარჩენები მოაკვიტეთ ოდნავ ტენიანი ბამბის ქსოვილის ნაჭრით.

● ბუმბულის გასაწმინდად იგი ჩაყრეთ თხელი ქსოვილის ტორაპკში და ერთი საათით ჩაუშეთ თბილ ხსნარში (200 გ საოჯახო საპონი და 1 ჩაის კოვზი ნიშადური 5 ლ წყალზე). შემდეგ ბუმბულიანი ტორაპკ კარგად გარეცხეთ და გააშრეთ.

● დასველილი ქოლგა გაწმინდეთ წყლისა და ნიშადურის სპირტის ხსნარით (1/2 ჭიქა 1 ლ წყალზე).

● ზავერდის სთამაშოები გაწმინდეთ ბენზინისა და სახამებლის ნარევი. ნარევი წაუსეთ სთამაშოს, გააშრეთ და შემდეგ ჯაგრისით გაწმინდეთ.

შეკრიბეს მარლენ აბაზაშვილმა და მზია მკობიერიძემ

hp 206/



საქართველო  
საგარეო  
აღმოსავლელი  
კავშირების  
მინისტრო

0600000 78178

ფაზი სახელმწიფო